ცალკე ნომერი 5 კაპ.

ლამპარი

თფილისი
ოთხშაბათი, 21 (ნ) ივნისი.
1906
წლიწადი პირველი

№ 47
ყოველ-დღიური გაზეთი.
№ 47

სამხედრო მინისტრის წარმომადგენელს დუმიდან უპანღურეს.—დუმამ მემარცხნეთა ბალდაფანებით სიკვდილით დასჯა გააუქმა.—ქუთაისში ბოლიციელებს უმოწყალოთ ქლეჭენ, ქალაქი უპოლიციოთ რჩება.—მინგრელსკი ბოლკის ოცდაშვიდ სალდათს სხვაგან გაგზავნას უპირებენ—ჯარი იცავს მათ.—კაზაკები და სალდათები მზათ არიან მათ დახვრეტაზე უარი თქვან.

რედაქციისაგან:

აგენტების საყურადღებოთ. რედაქცია სთხოვს თავის აგენტებს ანგარიშის გასწორება დააჩქარონ.

ხელის მომწერთა საყურადღებოთ. რედაქცია აცნობებს ქალაქ გარეთელ ხელის მომწერლებს, რომ ხელის მოწერა მიიღება **ქუთაისში** „კოლხიდა“-ს კანტორაში ი. კვიცარიძესთან; **ბათუმში** მიხ. კალანდაძესთან და **ოზურგეთში** მოსე ტუღუშთან.

ქ. თფილისში ხელის-მოწერა **მხოლოდ რედაქციაში** მიიღება. **რედაქცია პასუხს აგებს იმ ხელის მომწერთა წინაშე, რომლებიც პირდაპირ რედაქციის კანტორაში მოიტანენ ფულს.**

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან. რედაქცია სთხოვს თვიურ ხელის მომწერლებს მომავალი თვის ფული ივნისის დამლევამდის წარმოადგინონ.

დაუბეჭდავი წერილები რედაქციაში არ ინახება.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЛАМПАРИ“.

ამხანაგებს და ნაცნობებს აუწყებენ ამხანაგები გარდაცვალებას

სტეპკო ბორაიანისას

ცხედარს დაასაფლავებენ ხუთშაბათს, 22 ივნისს, ხოჯივანქის სასაფლაოზე.
(2—1)

„ლამპრის“ რედაქციაში იყიდება ძველი გაზეთების ქაღალდი. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ რედაქციის კანტორაში.
(10—7)

დეპეშა

საკუთარის კორესპოდენტისაგან

პეტერბურგი, 19 ივნისი. დუმამ ერთხმათ დარბაზიდან გააგდო სამხედრო მინისტრის წარმომადგენელი პავლოვი სიკვდილით დასჯის შესახებ შეკითხვაზე პასუხის მოცემის გამო.
ნ. ჟორდანია.

პეტერბურგი. დუმამ ერთხმათ გააუქმა სიკვდილით დასჯა.
ნ. ჟორდანია.

ქუთაისი. გაფიცულ ნოქრების წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღეს. ლარიონოვის მეთაურობით კაზაკები დადიან მაღაზიებში, სწერენ იმ ნოქრებს, რომლებიც მაღაზიაში არ ხვდებათ. დაიჭირეს რამდენიმე კაცი.
კერძო

ბაქო, 20 ივნისი. ღრმათ შემაწუხა ძვირფას ამხანაგ იუსტინე ვადაჭკორიას დაკარგვამ.
მელიტონ ჭეფხოძე

სოც.-დემოკრატიული ფრაქცია დუმაში

ჩვენი, კავკასიელი ამხანაგების დუმაში შესვლით ახალი ხანა იწყება დუმის ცხოვრებაში. მათი შემწეობით შესაძლებელი შეიქნა დუმაში სოც.-დემოკრატიული ფრაქციის დაარსება, რაც ჩვენი პარტიის უკანასკნელ სიეზდზე იქნა გადაწყვეტილი. სოციალდემოკრატი დეპუტატები დუმაში აქამდინაც იყვენ, მაგრამ ესენი სრულიათ შემთხვევით მოექცენ დუმაში და არა როგორც სოც.-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელნი, რადგან რუსეთში ჩვენს პარტიას არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია. მხოლოდ კავკასიიდან (და ამჟამათ ციმბირიდანაც) ჩვენმა პარტიამ თავისი კანდიდატები გაატარა დუმაში დეპუტატებათ და ეს უკანასკნელები წარდგენ იქ, როგორც სოციალდემოკრატიულ პარტიის წარმომადგენლები. ამ გარემოებამ დიდათ გააადვილა სიეზდის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა და აი ჩვენი დეპუტატების დუმაში შესვლისთანავე კიდეც დაარსებულ იქნა იქ სოც.-დემოკრატიული ფრაქცია. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ეს ფრაქცია დღეს 21 კაცისაგან შესდგება (ნ. ჟორდანიას მეთაურობით) და მალე მას კიდევ ათიოდე დეპუტატი მიემატება—ზოგი შრომის ჯგუფიდან, ზოგი უკიდურეს მემარცხენე კადეტთაგან და ზოგიც ციმბირში ახლათ არჩეულ დეპუტატთაგან.

სოც.-დემ. ფრაქციის დაარსების მთავარი მიზანი, სიეზდის გადაწყვეტილების თანახმათ, ის არის, რომ გამწვავებულ იქნას კონფლიქტი, როგორც დუმასა და მთავრობას შორის, ისე თვით დუმაშიაც; და საზოგადოთ გამოყენებულ იქნას დუმა სარევოლიუციო იარაღათ დამფუძნებელ კრების მოწვევის მიზნით.

და აი ამ მიზნის სამსახურს სოც.-დემ. ფრაქცია დაარსებისთანავე შეუდგა. პირველ ცდას ამ მხრივ წარმოადგენს ამხ. ის. რამიშვილის მიერ დუმაში წაკითხული რეზოლიუცია, რომლითაც მან ენერგიულათ მოითხოვა ძველი მთავრობის დამხობა და მის აგენტების, როგორც მძიმე დამნაშავეების, სისხლის სამართალში მიცემა. ეს რეზოლიუცია ი. რამიშვილმა „ამხანაგების“ სახელით წარადგინა. ადვილი მისახვედრია, თუ ვის ან რას უნდა ვგულისხმობდეთ ამ შემთხვევაში ამხანაგებათ. სიეზდის დადგენილებით, დუმის სოც.-დემოკრატიული ფრაქცია უნდა მოქმედებდეს სოც.-დემ. პარტიის ცენტრალურ ორგანოთა ხელმძღვანელობის ქვეშ და, ეჭვი არ არის, რომ აღნიშნული რეზოლიუციაც სწორეთ ამ ორგანოთა ხელმძღვანელობით იქნა შედგენილი.

მეორე და გაცილებით უფრო ფართო, მტკიცე ნაბიჯი ზემოხსენებულ მიზნისკენ ფრაქციამ ამ დღეებში გადადგა. ამ შემთხვევაში უკვე ყოველ ეჭვს გარეშეა ფრაქციის მოქმედება პარტიის ხელმძღვანელობით და მისივე სახელით. როგორც დეპეშამ გადმოგვცა, 17 ივნისს ფრაქციამ დუმაში თავისი დეკლარაცია წაიკითხა. ამ დეკლარაციით ფრაქცია დახმარებას პირდება დუმას მთავრობასთან ბრძოლაში და ამასთან აცხადებს—დუმა მხოლოდ დამფუძნებელ კრებაზე გადასასვლელი საფეხურიაო. დაწვრილებით დეკლარაციის მუხლები ჯერ-ჯერობით არ ვიცით, მაგრამ ჩვენთვის ადვილი გასაგებია, რომ ეს დეკლარაცია შეიცავს ჩვენი პარტიული პროგრამის შინაარს, დღევანდელ მომენტთან შეფარდებით.

საკმარისი იყო ხსენებულ დეკლარაციის წაკითხვა, რომ დუმაში მთელი ალიაქოთი ატეხილიყო: ამ დეკლარაციამ თითქო ცივი წყალი გადაასხა მთელ დუმას, ერთბაშათ სულ სხვა გუნებაზე დააყენა ყველა დეპუტატები, ერთბაშათ მკვახეთ შესცვალა მათი საურთიერთო დამოკიდებულება, ერთბაშათ გამოააშკარავა მათი სულისკვეთება, ნიღაბი ჩამოხადა ბევრ მათგანს. დუმის ერთი ნაწილი რომ დეკლარაციამ აღტაცებაში მოიყვანა, მეორე ნაწილს საშინელი თავზარი დასცა; შრომის ჯგუფიდან რომ მას გაცხარებით ტაშს უკრავდენ და მედგრათ მხარს უჭერდენ, კადეტები და დუმის მარჯვენა ნაწილი საყვედურებით და გაკიცხვით ილაშქრებდენ მის წინააღმდეგ, ანარქისტობათ და ფანტაზიორობათ, უტოპიათ სახავდენ მას. კადეტები და ძმანი მათნი ამტკიცებდენ—რასაც სოციალდემოკრატები მოითხოვენ, ის შორეულ მომავლის საქმეაო, თანამედროვე საზოგადოება მისთვის ჯერ მომზადებული არაა, ჯერ კიდევ მისკენ მრავალი საფეხურებია გასავლელიო და სხ.,

სხვათა შორის გეიდენმა განაცხადა—დუმას შეუძლია საჭირო რეფორმები მოახდინოს მშვიდობიანი გზით და არავითარი სხვა გვარი ბრძოლა საჭირო აღარ არისო. ეს აზრი არაა მარტო ოქტომბრისტების აზრი, რომლებსაც გეიდენი ეკუთვნის; ასე უცქერიან დუმას და მის მნიშვნელობას კადეტებიც და საზოგადოთ დუმის უმრავლესობა. ისინი გაიძახიან საკმაოა დუმის წევრთა შორის ერთობა, ერთსულოვნობა იქნას დაცული, დავივიწყოთ პარტიული განხეთქილება, ასე შეერთებული ძალით მივიტანოთ „მშვიდობიანი იერიში“ მთავრობაზე და თვითმპყრობელობაც ჩვენს ჭირს წაიღებსო. ერთობაზე ასეთი მღერით ცდილობდენ დუმის ბურჟუაზიული ელემენტები უფრო დემოკრატიულ ელემენტების დაძინებას, რომ თვითმპყრობელობის ხელიდან გავარდნილი ძალა-უფლება ერთიანათ თავის ხელში ჩაეგდოთ, და ამ მიზანს დღემდე შესამჩნევათაც აღწევდენ, რადგან ეს დემოკრატიული ელემენტები საკმაოთ შეუგნებელი და ადვილი მოსატყუებელი აღმოჩნდენ. ხოლო ისეთ შემთხვევებში კი, როდესაც ეს ელემენტები მაინც კიდევ თავისებურათ იწყებდენ მოქმედებას და ფართო მოთხოვნებს აყენებდენ, მაშინ დუმის ბურჟუაზიული უმრავლესობა უკვე თავიანთი რიცხვმრავლობით და ორგანიზაციული სიმტკიცით ლაგმავდა მათ; ამაში მას დიდათ ხელს უწყობდა მოწინააღმდეგეთა („შრომის ჯგუფის“) მტკიცე კავშირიანობის და მტკიცე ტაქტიკის უქონლობა.

ასე იყო დღემდე და ამის მეოხებით კადეტები დუმის სრული ბატონ-პატრონები შეიქმნენ, თავის ნებაზე ატრიალებდენ მთელ დუმას და თავს არხეინათ გრძნობდენ, თითქოს დარწმუნებულნი, რომ დღეს თუ არა ხვალ სახელმწიფოს ბედის ჩარხს ხელში ჩაიგდებენ და როგორც სურთ, ისე დაატრიალებენ, თვალსაჩინოთ ხელის შემშლელი არავინ ეყოლებათ. და თუ მათ „ხან და ხან“ ხალხის რევოლიუციონური მოძრაობა „მწარე ფიქრებს“ გვრიდა, ვაი თუ აღელვებულმა ხალხმა ჩვენზედაც გამანადგურებელი იერიში მოიტანოსო, თავს იმით ინუგეშებდენ, რომ თავიანთი მოხერხებული პოლიტიკანობით რევოლიუციასაც თვალებს აუხვევენ, დუმაზე ხალხს რწმენაიმედს განუმტკიცებენ, მისგან მხარის დაჭერით დუმას ნამდვილ სრულ-უფლებოვან პარლამენტათ გადააქცევენ, მთავრობის ძალას ხელში ჩაიგდებენ და ამნაირათ მთელი რუსეთის ბატონ-ბატრონებიც გახდებიან.

სწორეთ ასეთი პლანების განხორციელებაში კადეტებს განსაკუთრებით შეუშლიდა ხელს ძლიერი და შეკავშირებული მტრის ყოლა დუმაში, რომელიც იქ კრიჭაში ჩაუდგებოდა მათ, გამოუაშკარავებდა იქიდან ხალხს მათი მოქმედების თვალმაქცობას, მათ ვერაგულ, მოღალატურ განზრახვებს. ჰო და, აი სწორეთ ასეთ საშიშარ მტერს კადეტები ვერა გრძნობდენ დუმაში დღემდე და მით კმაყოფილი იყვენ. მაგრამ აი დღეს დუმაში სოც.-დემოკრატიული ფრაქცია დაარსდა და კადეტების „კმაყოფილებაც“ ერთბაშათ დაირღვა. ან კი როგორ არ დაირღვეოდა? ასეთი მტკიცეთ შეკავშირებული ფრაქცია, ძლიერ და გავლენიან პარტიის ხელმძღვანელობით განსაზღვრულ ტაქტიკის გამტარებელი, ფრაქცია, რომელსაც, რიცხვით თუმცა მცირეს, მთელი რუსეთის ხალხი უდგას უკან (როგორც ამხ. ის. რამიშვილმა განაცხადა) და საჭიროების დროს მხარსაც დაუჭერს, ჰო, ასეთი მრისხანე ფრაქცია ხომ საშინელ საფრთხეს უქადის კადეტების ბატონობას, როგორც დუმაში, ისე ხალხში? ეს ფრაქცია ხომ ძირს უთხრის ზემოაწერილ პლანებს კადეტებისას, ეს ფრაქცია ხომ დუმის ტრიბუნიდან მთელი რუსეთის ხალხს ერთიანათ გამოუმჟღავნებს კადეტების ბურჟუაზიულ სულის კვეთებას, და მის სიმპატიას თავის თავზე გადაიტანს, როგორც მისი ღვიძლი ინტერესების ჭეშმარიტი გამომხატველი, მედგარი დამცველი? ყოველივე ამით ხომ ეს ფრაქცია რევოლიუციონურ ხალხს ადგილით აამოქმედებს თავის სარევოლიუციო მიზნების თანხმათ და ამის შემწეობით ხომ ის დამფუძნებელ კრების მოწვევასაც მიაღწევს, რომელსაც ასე უფრთხიან კადეტები?

ერთი სიტყვით, სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის დაარსება დუმაში ერთი იმ დიდმნიშვნელოვან მომენტთაგანია, რომელსაც უეჭველათ ღრმა გავლენა ექნება რევოლიუციის შემდეგს მსვლელობაზე და მისი ბედის გადაწყვეტის დაჩქარებაზე, და ჩვენ, სოციალდემოკრატები, განსაკუთრებული სიხარულით უნდა მივესალმოთ ამ ფრაქციის მოვლინებას.

პოლიტიკური მიმოხილვა

სომეხ-თათართა კითხვა დუმაში.

დუმაში კავკასიის დეპუტატებმა ბევრი ილაპარაკეს სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის შესახებ: გამოაქვეყნეს მრავალი შემაძრწუნებელი ფაქტები. როგორც თათრების, ისე სომხების დეპუტატები აღნიშნულ მოვლენის ერთად-ერთ მიზეზათ ასახელებდენ მთავრობის პროვოკაციას და პოლიცია-ადმინისტრაციის მოქმედებას ან უმოქმედობას. არც ერთ მათგანს კრინტი არ დაუძრავს იმის შესახებ, რომ თათრებსა და სომხებს შორის თავის თავათაც არსებობს ეროვნული განხეთქილება, რომ სომხებისა და თათრების ბურჟუაზიულ კლასებს ერთმანეთ შორის ქიშპობა აქვთ ეკონომიურ ნიადაგზე და რომ აქედან იბადება ის ეროვნული შოვინიზმი, რომელიც ერთ ერს მეორის წინააღმდეგ ამხედრებს. არც თათარ და არც სომეხ დეპუტატებს არ მიუთითებიათ იმაზე, რომ მთავრობა თავის პროვოკაციას სწორეთ ამ ეროვნულ შოვინიზმის მეოხებით ახწევინებს მიზანს, ახერხებს ერთი ერის მეორეზე მისევას და მათ შორის ხოცვა-ჟლეტის ატეხას. თათართა და სომეხთა დეპუტატებმა, რომელნიც თვითონ არჩეული არიან ბურჟუაზიულ წრეებიდან, ხელი დააფარეს და ეცადენ არ გამომჟღავნებულიყო სომეხ-თათართა ბურჟუაზიულ კლასების სამარცხვინო როლი მათ ხოცვა-ჟლეტაში. მათი სიტყვები დუმაში ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქო მათ ერთმანეთი მუდამ გულითად მოყვრებათ მიაჩნიათ, და თითქო მხოლოდ წყეული თვითმპყრობელობა არ აცლის მათ ასეთ მოყვრობას. საქმეში ჩაუხედავი ადამიანებიც (მაგ. გაზ. „ნაშა ჟიზნის“ მწერლები) უჯერებენ მათ ასეთ ლათაიებს და აცხადებენ—აშკარაა „სომხებს“ და „თათრებს“ არაფერი აქვთ ერთმანეთში გასაყოფი, ამას მათი წარმომადგენლები თავისი პირით აღიარებენო. გულუბრყვილოებს სჯერათ, რომ სომეხ-თათართა ბურჟუაზიის წარმომადგენლები გულწრფელათ აცხადებენ ერთმანეთის „ძმობა-ერთობას“. რა თქმა უნდა, სომხის და თათრის ხალხს ერთმანეთში გასაყოფი არაფერი აქვთ და მათ ერთმანეთ შორის ძმობა-ერთობის მეტი არ დარჩენიათ რა, მაგრამ განა საქმეში ჩახედული კაცი გულწრფელათ მიიჩნევს სომეხ-თათართა „ძმობა-ერთობის“ ქადაგებას ისეთ ადამიანთა მხრივ, რომლებიც ყველაზე უფრო ცდილობენ ამ ძმობა-ერთობის დარღვევას და ფეხქვეშ გაქელვას.. ასე ბრმულათ დაჯერება სომეხ-თათარ ბურჟუა დეპუტატთა ყალბი სიტყვების, რომელიც დუმის ტრიბუნიდან გაისმის მთელ რუსეთის გასაგონათ, დიდ სამსახურს გაუწევს შემდეგში ხსენებულ შოვინისტებს მათ „საგმირო საქმეთა“ განსაგრძობათ: ასეთი დაჯერება მათი სიტყვებისა ჩრდილავს და აფუჩეჩებს ნამდვილ მიზეზს სომეხ-თათართა შორის არსებულ ეროვნულ შუღლისას და ამით ორივე ერის ბურჟუა შოვინისტებს საშვალება ეძლევათ კვლავ თავის ჭკუაზე ატრიალონ თავ-თავისი ერის მშრომელი ხალხი, კვლავ ერთი მეორეს ეროვნული მტრობით გადაკიდონ ორივე ერის გლეხკაცობა და პროლეტარიატი, კვლავ ბრმულათ დამონავებული ჰყავდეთ ეს ხალხი, და ამის შემწეობით კვლავ ადვილათ და მარჯვეთ მოახერხონ მისი ექსპლოატაცია და ტყავის ძრობა.

სოც.- დემოკრატი და სოც.- ფედერალისტი დუმაში.

დუმაში თავთავისი აზრი გამოსთქვეს კავკასიის როგორც სოც.- დემოკრატ, ისე სოც.- ფედერალისტ. დეპუტატებმა, და პირველმავე მათმა სიტყვებმა გამოამჟღავნა, თუ რომელი მათგანი ვის ან რის წარმომადგენელია, ვის ან რის დამცველია, რის მომთხოვნელია. მაშინ, როდესაც სოც.-დემ. დეპუტატი (ი. რამიშვილი) მთელი რუსეთის ხალხის სახელით ლაპარაკობს, მთელი ამ ხალხის წარმომადგენლათ გამოდის, ამ დროს სოც.-ფედერალისტი დეპუტატი (ი. ბარათაშვილი) მხოლოდ ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკობს, მხოლოდ ამ ხალხის წარმომადგენლათ მოაქვს თავი. იგი მთელ კავკასიის წარმომადგენლათაცკი არ აცნობს თავს დუმას, მან პირდაპირ განაცხადა: მივესალმები დუმას, როგორც საქართველოს წარმომადგენელთაგანიო. მაშინ როდესაც კავკასიის სოც.-დემოკრატი დეპუტატი ცდილობს წამოაყენოს დუმაში მთელი რუსეთის ხალხის მოთხოვნები, როდესაც ის მედგრათ მოითხოვს არსებულ მთავრობის გადაყენებას და სამართალში მიცემას, ამ დროს სოც.-ფედერალისტი დეპუტატი არავითარ განსაზღვრულ მოთხოვნას არ უყენებს წინ დუმას.

დუმა და ხალხი

სოციალდემოკრატიული დეპუტატები და მუშათა ჯგუფი დუმაში. ახალ ჩამოსულმა კავკასიის დეპუტატებმა—ამბობს „სტრანა“—უცებ შესძინეს მუშათა ჯგუფს მჭიდრო კავშირის ხასიათი. ამათმა ჩამოსვლამ ძლიერ გაამხნევა მუშა დეპუტატები, ამ უკანასკნელებმა შეადგინეს სოციალდემოკრატიული ფრაქცია. თუ მათი რიცხვი, როგორც ისინი ამბობენ, 30-ამდე ავიდა, მათ უფლება ექნებათ თავის განცხადების, წინადადების და კანონ-პროექტების წარდგენის. ფრაქციის ლიდერმა, დეპუტატმა ჟორდანიამ, შემდეგი სთქვა ფრაქციის ტაქტიკაზე: „ჩვენ მხარს მივცემთ ყოველივე პარტიის ისეთ ნაბიჯს, რომელიც ჩვენი უმთავრესი მიზნის—დამფუძნებელ კრების მოწვევის განხორციელებისაკენ იქნება მიმართული. ჩვენი მოქმედების პროგრამის მე-II პუნქტი თვით ხალხისადმი მიმართვაა, მხოლოდ თვით ხალხს შეუძლია განსაჯოს ჩვენი მოქმედება, მხოლოდ მის მხარის დაჭერაზეა დამყარებული ჩვენი მოქმედება ამ დღეებში შევიმუშავებთ ჩვენ მოქმედებას პროგრამას.

— თფილისელმა ქალებმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს ამხ. ნოე ჟორდანიას:

„ჩვენ, თფილისელი ქალები, ვთხოვთ სათათბიროს ენერგიულათ გამოესარჩლოს მინგრელსკი პოლკის 27 ჯარის-კაცთ, რომელთაც სიკვდილით დასჯა მოელით“.

ხელს აწერს 350 ქალი; რამდენიმეს გარდა სულ მუშა-ქალები არიან.

— **სახელმწიფო სათათბირო,** მშრომელთა ჯგუფს. „ამხანაგებო! თავისუფლებისათვის მებრძოლთა, მინგრელსკი პოლკის 27 სალდათის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია; ეს ორი დღეა, რაც მათ საქმეს სამხედრო სასამართლო არჩევს; ვფიქრობთ შედეგი სამწუხარო იქნება; ამიტომ მოგმართავთ აღამაღლოთ ხმა სათათბიროში მათი სიცოცხლის დასაცავათ.

ჩვენ თქვენთან ვიქნებით უკანასკნელ სისხლის წვეთამდე“.

თფილისის მკერვალთა პროფ. კავშირი.

ახალი ამბები

◆ თფილისის **პოლიცმეისტერმა** ოფიციალური ქაღალდი შეიტანა ავათმყოფობაზე. დროებით მის თანამდებობის ასრუ-

ლება მე-10 საპოლიციო უბნის ბოქაულს მიანდეს. ხმებია, პოლიცმეისტერს ერთხელ და სამუდამოთ სამსახურიდან გასვლა აქვს გადაწყვეტილი.

◆ გუშინ თფილისში **გაიფიცენ** აქციონერთა, სარაჯევისა, სოგომონოვისა და სხვა სამქლების ქარხნების მუშები, მოთხოვნები ქვევით არის დაბეჭდილი.

◆ თფილისის ვაჭრებმა ადგილობრივ თამბაქოს ფაბრიკების ნაწარმოებს **ბოიკოტი გამოუცხადეს**.

◆ **გაიფიცენ** საეპარქიო სანთლის ქარხნის მუშები. მოთხოვნილებანი ეკონომიურია.

◆ 18 იენისის კრებაზე კავკასიის **ფარმაცევტთა კავშირმა** შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა ამხ. ჟორდანიასთან გასაგზავნათ: „საერთო კრება კავკასიის ფარმაცევტთა გაეცნო რა მუშათა ჯგუფის მიერ გამოცემულ მოწოდებას რუსეთის პროლეტარიატისადმი და დეკლარაციას, რომელიც ამ ჯგუფმა დუმაში წამოაყენა, სალამს უძღვნის მუშათა დამოუკიდებელ ჯგუფს დუმაში და აცხადებს, რომ მზათაა შემთხვევის დროს მხარი მისცეს მას სამართლიან მოთხოვნებისთვის ბრძოლაში“.

◆ თფილისის სტამბებში მომუშავეთა მიერ არჩეულ კომისიის წევრებს გუშინ-წინ **კრება ქონდათ.** გადაწყვიტეს შეუდგენ პროფესიონალურ ორგანიზაციის ახალ წესდების თანახმათ მოწყობას. ამისათვის წინდაწინ საჭიროთ იცნეს ლეგალურათ კრება გამართონ, რომლისთვის გუბერნატორისგან ნებართვის სათხოვრათ რამდენიმე კაცი ამოირჩიეს.

◆ გუშინ-წინ ღამით **პოლიციამ დაბეჭდა** ვ. გადლიას წიგნის სავაჭრო კიროჩნი ქუჩაზე.

◆ 19 იენისს მეტეხის ციხიდან 3000 მან. თავდებში გაანთავისუფლეს გაზეთ „ელვის“ რედაქციაში დაჭერილი **თედორე კიკვაძე**.

◆ გუშინ, დილის 10 საათზე, **ტატიანის ქუჩაზე**, 5 შეიარაღებული კაცი თავს დაესხა ამიერ-კავკასიის რკინის გზის კომერციულ განყოფილების მეარტელეს ზავიალოვს, რომელსაც თან ორი საეროზო დარაჯი მიყვებოდა. ერთი საეროზო დარაჯთაგანი მურზი მოკლეს, ხოლო მეორე დროებით დასჭრეს. წაიღეს 5500 მ. შეიპყრეს ორი ახალგაზდა, რომელნიც მახლობლათ შემთხვევით ყოფილიყვენ და სროლა რომ გაეგონათ გაქცეულიყვენ. ესენი აღმოჩნდენ ოზურგეთის მაზრის მცხოვრებნი ივ. უშვერიძე და ერ. ჯორბენაძე. ამათვის კაზაკებს საშინლათ უცემიათ. დაჭრილები მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

◆ ამ დღეებში მინგრელსკი პოლკის 27 ჯარის კაცთა გაგზავნა ნდომებიათ, მაგრამ სალდათები ბეჯითათ ადევნებენ თურმე მათ თვალ-ყურს, რომ სადმე არ წაიყვანონ. თუ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს—თფილისში ყველა **ჯარის კაცები და კაზაკები უარს ამბობენ მათ დახვრეტაზე** ზოგი რწმენით და ზოგიც სხვების მუქარით. ჯარში მითქმა-მოთქმაა, თხოულობენ ამათ სრულიად განთავისუფლებას.

◆ 19 იენისს, ნაშუადღევის 4 საათზე, **ყარსის მატარებლით რამდენიმე სალდათს გზავნიდენ**, რისთვისაც მატარებელს მე 4 კლასის ვაგონი ჩამოუბეს, მაგრამ სალდათებმა უარი განაცხადეს ვაგონში შესვლაზე. „ეს ადამიანთა კი არა, პირუტყვების ბინაა“,—ამბობდენ ისინი. მაშინვე ბრძანება გაიცა მატარებლისთვის მესამე კლასის ვაგონი ჩამოებათ, მაგრამ ამ დროს მატარებელიც დაიძრა და სალდათებიც დარჩენ. ამის გამო დაატუსაღეს ერთი სალდათი.

◆ 14 იენისს გაუძარცვავთ **გუბსა და მაღლაკ შუა** ხონიდან მომავალი დილიჟანი. ყაჩაღებმა 400 მანათი წაიღეს.

◆ როგორც **რაჭიდან** იტყობინებიან, იქ მოუკლავთ ერთი მემამულე ყიფიანი.

◆ გუშინ წინ მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს დრ. გენერალგუბერნატორისაგან შეჩერებულ გაზეთ „გვოზდის“ რედაქტორი **ა. ს. ლანგე**.

◆ „თ. ფ.“ ბაქოდან დეპეშით ატყობინებენ რომ იქაურ **ციხეში** პატიმარი მუსულმანები დარევიათ რუსებს დანებით; ოცი მძიმეთ დაჭრილია, 25 მსუბუქათ. ჯარმა წესიერება აღადგინა.

◆ ხვალ 22 იენისს, გამოვა ახალი სახალხო **გაზეთი „გლეხი.“**

◆ რედაქციამ მიიღო დაზარებულ გურულების სასარგებლოთ პლატონ კლიმიაშვილისაგან განჯაში შეგროვილი 95 მ. 15 კ. იაგორ გოგიბერიძისაგან განჯაში შეგროვილი 44 მ. 25 სოფ. ჯურუყვეთში გამართული წარმოდგენიდან 15 მ. 50 კ.

◆ რედაქციამ მიიღო და დანიშნულებისამებრ უკვე გადასცა პავ. პ—ვს, რომელიც უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფება, ალელემე. მერაბოვის და გიგო ზაზიაშვილის მიერ მოგროვილი 33 მ. 75 კ. შემომწირველთა სიას უადგილობის გამო ვერ ვბეჭდავთ.

პარტიის ცხოვრებიდან.

წესდების პროექტი თფილისის ორგანიზაციის რ. ს.-დ. მუშათა პარტიისა, მიღებული სარაიონთაშორისო კრებაზე.

§ 1. პარტიის წევრები თფილისში შეადგენენ ერთათ თფილისის სოც.-დემ. მუშათა ორგანიზაციას.

§ 2. პარტიის ახალ წევრებს იღებენ ძირითადი ორგანიზაციები თანახმათ იმ წესებისა, რომლებსაც შეიმუშავებს თფილისის კომიტეტი და დაამტკიცებს მთელი თფილისის ორგანიზაცია.

§ 3. ორგანიზაციის ყოველი წევრი მოვალეა დაემორჩილოს როგორც პარტიის ყოველ დადგენილებას, ისე ადგილობრივ ორგანიზაციის უმეტესობას; მოვალეა აგრეთვე მოიზიდოს ახალი წევრები სოციალ-დემოკრატიულ აზრების გავრცელებით და საერთოთ იმოქმედოს ისე, როგორც ამას მოითხოვს პარტიის ინტერესები.

§ 4. ძირითად ორგანიზაციათ ითვლება ორგანიზაცია, შემდგარი პარტიის ოც და ხუთი წევრისაგან.

§ 5. ძირითად ორგანიზაციის წევრებმა თავიანთ შორის უნდა ამოირჩიონ: ერთი წარმომადგენელი რაიონულ კომიტეტში, ერთი ორგანიზატორი, ერთი „სბორჩიკი“ და ერთიც ტრანსპორტიორი.

შენიშვნა: ა) „სბორჩიკის“ მოვალეობაა მოჰკრიბოს ფული თავის ამრჩევლებსა და თანამგრძნობებში და გადასცეს რაიონულ კომიტეტის კასირს. ბ) ორგანიზატორის მოვალეობაა: მოაწყოს თავისი ამრჩევლების კრებები, მოსძებნოს ბინა კრების გასამართავათ და სხვა... გ) ტრანსპორტიორის მოვალეობაა: თავის ამომრჩევლებს მიაწოდოს ყოველგვარი პარტიული ლიტერატურა და გაავრცელოს მასსაში ეს ლიტერატურა. ლიტერატურას უნდა იღებდეს რაიონულ ტრანსპორტიორისაგან. დ) წარმომადგენლის მოვალეობაა: გადიტანოს თავის ამრჩევლებში ყველა პარტიულ პოლიტიკური კითხვები (გარდა კონსპირატიულ კითხვებისა).

§ 6. ძირითადი ორგანიზაცია იკრიბება აუცილებლათ კვირაში ერთხელ მაინც. არა ჩვეულებრივი კრებები ინიშნება ან რაიონულ კომიტეტის სურვილით, ან და ძირითადი ორგანიზაციის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

§ 7. ძირითად ორგანიზაციების წარმომადგენლები შეადგენენ რაიონულ კომიტეტს.

§ 8. რაიონული კომიტეტი ავტონომიურათ განაგებს საქმეებს თავის რაიონში შესახებ ორგანიზაციისა, პროპაგანდისა და აგიტაციის მოწყობისა. რაიონული კომიტეტი ირჩევს რაიონულ კასსირს, რაიონულ ორგანიზატორს, რაიონულ ტრანსპორტიორს, რაიონულ ორგანიზატორს, რომელიც უნდა ზრუნავდეს პოლიტიკურთა დახმარებაზე და ერთ რაიონულ ლიტერატორს.

§ 9. რაიონულ კომიტეტს უფლება აქვს ფურცლები გამოუშვას იმ ამბებზე, რომლებიც მის რაიონში ხდება.

§ 10. რაიონულ კომიტეტს აქვს თავისი კასსა, სადაც მისი შემოსავლიდან იტოვებს გადაჭრილ პროცენტს და დანარჩენს კი თფილისის კომიტეტის კასაში გზავნის.

§ 11. რაიონული კომიტეტის ჩვეულებრივი კრება კვირაში ერთხელ მაინც უნდა ხდებოდეს. არაჩვეულებრივი კრება ინიშნება ან თფილისის კომიტეტის წარმომადგენლებისგან, ან რაიონულ კომიტეტის ერთი მეოთხედი წევრების მოთხოვნით.

§ 12. რაიონული კომიტეტი ყოველთვიურათ ბეჭდავს თავის რაიონის შემოსავალ გასავლის ანგარიშს.

შენიშვნა რაიონული კომიტიტი ადგენს კომისიას თანამოაზრე მოქალაქეთა შორის ფულის მოსაგროვებლათ.

§ 13. ადგილობრივ ორგანიზაციის ხელმძღვანელია თფილისის კომიტეტი, რომელიც შესდგება რაიონულ კომიტეტის მიერ ამორჩეულებისგან.

შენიშვნა: რაიონული კომიტეტები ირჩევენ თავიანთ შორის წევრებს თფილისის კომიტეტისთვის პროპორციონალურათ, თითოს ყოველ 150 პარტიის წევრზე.

§ 14. თფილისის კომიტეტი ხელმძღვანელობს მთელ ადგილობრივ პარტიულ საქმეს: ეწევა სიტყვიერ და მწერლობით აგიტაციას, განაგებს ორგანიზაციის კასას და მთელ ორგანიზაციის წარმომადგენლათ ითვლება როგორათაც სხვა ორგანიზაციებთან, ისე საზოგადო დაწესებულებებთან და პოლიტიკურ პარტიებთან მოლაპარაკებაში.

შენიშვნა: კომიტეტი თავის წევრებში ირჩევს შემდეგ პირებს: „დოკლადჩიკებს“ რაიონულ კომიტეტებისთვის, ერთ ტეხნიკს, ერთ კასირს, ერთ ლიტერატორს, ერთს სეკრეტარს, ერთ ორგანიზატორს, ერთს წითელი რაზმების ორგანიზაციისთვის, ერთს სალდათების კომისიისათვის და ერთს გლეხების კომისიისათვის.

§ 15. ყველა ისეთი კითხვა, რომელიც მასსის რევოლიუციონურ გამოსვლას შეეხება, წესდება მთელი ორგანიზაციისაგან.

§ 16. კომიტეტის ყოველი დადგენილება, თუ ის კონსპირატიული არაა, აუცილებლათ უნდა გადადიოდეს ორგანიზაციის ყველა წევრებში, რაიონულ კომიტეტის შემწეობით.

§ 17. ყოველი წინადადება, წამოყენებული პარტიის 500 წევრისგან, ან და მთელი რაიონისაგან, აუცილებლათ უნდა გადატანილი იქმნეს კომიტეტის მიერ ორგანიზაციის ყველა წევრებში. ყოველ ამისთანა შემთხვევაში უმეტესობისაგან გამოთქმული აზრი ითვლება სოც.-დ. მუშ. ორგანიზაციის დადგენილებათ.

§ 18. ყოველდღიური საქმეების გასაძღოლათ კომიტეტი ირჩევს აღმასრულებელ კომისსიას, რომლის ფუნქციებს თითონვე საზღვრავს.

§ 19. კომიტეტის ჩვეულებრივი კრებები იმართება ყოველკვირას. არაჩვეულებრივ კრებებს კი იწვევს ან აღმასრულებელი კომისია ან კომიტეტის წევრთა ნახევარი რიცხვი.

§ 20. კოოპტაცია ისპობა. ყოველ ორგანიზაციას აქვს უფლება მოიწვიოს ამხანაგი სათათბირო ხმით.

§ 21. ყოველი ორგანიზაცია ირჩევა ექვსი თვით.

შენიშვნა: ყოველ ორგანიზაციონულ კრებას უფლება აქვს უკან გამოიწვიოს თავისი ამორჩეული წარმომადგენელი.

§ 22. უკეთუ ამრჩეველთა უმეტესობა უკმაყოფილოა არჩეული ორგანიზაციით, მაშინ უკანასკნელი სტოვებს თავის ალაგს.

თფილისი ექვს რაიონათ იყოფა:

I. რკინისგზის რ. (ვოგზალი. დიდუბე, ნაძალადევი).

II. მიხაილოვის რ. (ვოგზლის ქუჩიდან კიროჩნი ქუჩამდე).

III. კუკიის რ. (ლიუტერანების ეკლეს. მეტეხის ციხემდე).

IV. ავლაბრის რ. (ავლაბარი, შავისოფელი, ნავთლუღი და ხარფუხი).

შენიშვნა. ავლაბრის რაიონში შედის ორი რაიონი: ხარფუხის და ნავთლუღის.

V. ვერის რ. (ვერის ჯვრიდან ნიკიტინის ცირკამდე).

VI. მთაწმინდის რ. (ცირკიდან თათრის მოედანამდე და ვარანცოვის ხიდამდე).

ქუთაისი. კვირას, 18 იენისს, შესდგა შეერთებული კრება ქუთაისის ხელმძღვანელი კოლექტივისა და რაიონებისა. კრებაზე გასარჩევათ წამოყენებული იყო სხვა და სხვა კითხვები. სხვათა შორის კრებაზე განიხილეს პეტერბურგის და ცენტრ. კომიტეტს შორის არსებული უთანხმოება, ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ ხმის უმრავლესობით (9 წინააღმდეგ 6-სა) მიიღო ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუცია. გარდა ამისა კრებამ აუცილებელ საჭიროებათ სცნო დაევალოს თფ. ბიუროს დაუყონებლივ მოწვეულ იქმნას კავკასიის სიე-

ფელეტონი

—:—

მარქსიზმი თუ ბლანკიზმი?

I

„ბოლშევიკები“ არ სცხრებიან. ისინი თავიანთ ტაქტიკას მედგრათ ჩასჭიდებიან და მუშათა პარტიას ძალაუნებურათ თავზე ახვევენ. პეტერბურგი და მოსკოვი შემაერთებელ სიეზდის წინააღმდეგ აშკარა აჯანყების ასპარეზათ გადაიქცა და ორი მოპირისპირე ტაქტიკა ერთხელ კიდევ ერთიმეორეს მრისხანეთ შეეჯახა. ასეთ პირობებში ჩვენი ვალია „ბოლშევიკურ“ ტაქტიკას ერთხელ კიდევ შევეხოთ და მისი უვარგისობა სავსებით გამოვააშკარაოთ.

„ბოლშევიკები“ პარტიაში ბლანკიზმის მიმდევარი არიან, რასაც ახლავე დავინახავთ. ამიტომ ბლანკიზმის გარკვევა და მისი უვარგისობის აღიარება „ბოლშევიკობის“ უარყოფაა. ვინ იყვენ ბლანკისტები?

1830 წ. იულისის რევოლიუციამ საფრანგეთში სახელმწიფო ძალა ხელიდან ფეოდალურ არისტოკრატიას გამოგლიჯა და ფინანსისტები გაბატონა. ამით უკმაყოფილო წვრილი ბურჟუაზია და უპირველესათ პროლეტარიატი „ბანკირთა სამეფო“-ს წინააღუდგენ და მის დაცემას ლამობდენ. რადგან მსხვილი მრეწველობის განვითარებით მათი მდგომარეობა აუტანელი შეიქნა, პარიჟი და ლიონი—ეს ორი ცენტრი კაპიტალისტური წარმოების—რევოლიუციათა ბუდეთ გადაიქცენ. ფეთქება იქ, აჯანყება მეორე ადგილს, დამშვიდება ერთგან, ამხედრება მეორე ქალაქში—აი რას წარმოადგენდა მთელი ათი წლის (1830—1840 წ.წ.) ცხოვრება საფრანგეთში. ასეთ პირობებში განვითარდა ბლანკიზმი.

აჯანყება შეუჩერებლივ წარმოებს, ამბობდა ლუი ოგიუსტ ბლანკი, ხალხისთვის ეს აუცილებელი მოთხოვნილებაა, სანამ ძველი წეს-წყობილება სავსებით არ დაგვიმარხავს. თუ ხალხი მარცხდება, ამის უმთავრესი მიზეზი რევოლიუციის მოუწყობლობა-მოუწესრიგებლობაა. ამიტომ მისი მოწყობა და სასურველ კალაპოტში ჩაყენება—აი რევოლიუციონერთა მთავარი საგანი. რით შეიძლება ეს?

არსებული ბურჟუაზიული მთავრობა „კანონიერ“ ნიადაგს გვისპობს. საიდუმლო საზოგადოებათა დაარსება და მის წევრთა გაწვრთნა-შეიარაღება—აი რას ქადაგებდა ბლანკი. აი ეს მოწინავე გაწვრთნილი რაზმები იკისრებს აჯანყების გამოწვევა-ხელმძღვანელობას და მას უკან თავის-თავათ გაყვება აჯანყების მოტრფილე ხალხი. ასეთ პირობებში აჯანყების გამარჯვება ეს მოწინავე რაზმთა გამარჯვება და მათ მიერ სახელმწიფო ძალის დაპყრობაა, რასაც რევოლიუციის განმტკიცება და ხალხის განთავისუფლება მოყვება. აი ტაქტიკური მოძღვრება ბლანკისა. მართლაც 1837 წ. დაარსდა „société des saisons—საზოგადოება „წლის დროთა“, რომელშიაც ორი წლის განმავლობაში რამოდენიმე ასი წევრი ჩაეწერა. ამის შემდეგ, 12 მაისს 1839 წ. მეთაურებმა—ბლანკიმ, ბარბესმა და ბერნარმა შეთქმულობა მოაწყვეს, მოწინავე მებრძოლი რაზმები მწკრივათ საბრძოლველათ გამოიყვანეს, ბარიკადები ამართეს და ხალხს აჯანყებისთვის მოუწოდეს. მარა მოსტყუვდენ. ხალხი განზე იდგა, ისინი კი საშინლათ დამარცხდენ.

ამნაირათ, კონსპირაცია ორგანიზაციაში, შეთქმულობა აჯანყებაში, მოწინავე რაზმებით რევოლიუციის წარმოება და მათი საშუალებით სახელმწიფო ძალის დაპყრობა და მის ხალხის სასარგებლოთ გამოყენება—აი რა გვიანდერძა ბლანკიზმმა.

ასეთ ტაქტიკას რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობაშიც ბევრი მომხრე ამოუჩნდა. ამ ტაქტიკას აწარმოებდენ, მაგ., მე-70 წ.წ. „ბუნტარები“. გლეხ-კაცობას აჯანყების საჭიროება ძვალსა და რბილში გაუჯდა, ის პუგაჩოვის *) ბუნტარული სულით გაღლენთილია. ამიტომაც მის ასამხედრებლათ საკმარისია მოწინავე „დრუჟინათა“ დაარსება და მათი საშუალებით აჯანყების დაწყება, რაც საერთო ცეცხლათ გადაიქცევა და არსებულ სოციალ-პოლიტიკურ წყობილებას სავსებით გაანადგურებს და სოციალიზმს დაამკვიდრებს—ასე მსჯელობდენ „ბუნტრები“. ისინი „ხალხში“ დადიოდენ, აჯანყებას ქადაგობდენ, ერთხელ გლეხთა მოსამხრობათ მეფის სახელით ყალბი „მანიფესტიც“ გამოსცეს, მარა ვერ გაარიგეს რა. გლეხ-კაცობა გაჩუმებული შეყურებდა „ბატონების“ ქადაგებას და ბრძოლას. არსებული წყობილება კი ძველებურათ სწიწკნიდა და სულს უხუთავდა მშრომელ ხალხს.

„ბუნტარების“ ტაქტიკას სავსებით ეთანხმებოდენ მათი ისტორიული მემკვიდრე—„ნაროდოვოლცები“. ტერორისტულ ჯგუფთა მეოხებით მთავრობის დაშლა-დარღვევა და მით მისი დაპყრობა—აი ტაქტიკა მათი.

ასე სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიას „ბუნტარებმა“ და „ნაროდოვოლცებმა“ ბლანკისტური ტაქტიკა უანდერძეს, და დღეს ჩვენს პარტიაში ასეთ ტაქტიკას სავსებით ემხრობიან „ბოლშევიკები“.

როგორია მათი ტაქტიკური შეხედულება? რევოლიუციამ მთელი მშრომელი ხალხი აამბოხა და თავის ზანაკში გადაისროლა. პროლეტარიატი და გლეხ-კაცობა—აი უმთავრესი მებრძოლი დემოკრატიის დასამყარებლათ. რადგან საზოგადოების ეს ორივე ელემენტი არსებულ სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობას ვერ შეურიგდება, სოციალდემოკრატიის ვალია რადიკალური, ან როგორც ისინი გაიძახიან, „რევოლიუციონური“ პოლიტიკა აწარმოვოს—რაში მდგომარეობს ის?

ხალხი საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებას პირდაპირ მიადგა. ან აჯანყება და გამარჯვება და მით დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება ან რეაქცია და ძველი ბიუროკრატიული რეჟიმის შერჩენა—აი რა დაგვიყენა წინ ცხოვრებამ. ან რევოლიუცია და დემოკრატიული რესპუბლიკა, ან „კონსტიტუცია“ და მით რევოლიუციის უარყოფა—გაიძახიან ისინი. თუ მდგომარეობა ასეთია, სოციალდემოკრატიის ვალია შეიარაღებული აჯანყების მოწყობა და მით რევოლიუციის ლოღიკურ დასკვნამდის მიყვანა.

როგორ უნდა მოეწყოს ეს?

დეკემბრის აჯანყება დამარცხდა რადგან რევოლიუციონურ პარტიებს შესაფერი „სამხედრო“ ორგანიზაცია, გაწრთვნილი—მებრძოლი რაზმები და საკმაო იარაღი არა ქონიათ. ამ ნაკლის შევსება—აი მთავარი საგანი სოციალდემოკრატიის ამჟამათ. როცა გაწვრთნილი და შესაფერათ შეიარაღებული მებრძოლი რაზმებით მთელი რუსეთი მოიფინება, ჩვენ მზათ ვიქნებით საერთო აჯანყებისთვის. აი სწორეთ ამ დროსთვის უნდა მოვიკრიბოთ ძალ-ღონე და ამით აჯანყებაც უზრუნველყოფილი იქნება. რადგან მებრძოლი რაზმები აჯანყებას წინ მიუძღვიან და ხელმძღვანელობენ, აჯანყების გამარჯვება სახელმწიფო ძალას მათ ხელთ ჩაუგდებს და ამით დროებითი მთავრობის პროლეტარიატისა და გლეხ-კაცობის—ამ ორი მებრძოლი ელემენტისგან შედგენა აუცილებელი გახდება. აი რას ამბობენ „ბოლშევიკები“.

შევადაროთ „ბოლშევიკების“ და ბლანკისტების ტაქტიკა.

ბლანკისტები ხედავდენ, რომ უმასოთ რევოლიუციის მოხდენა შეუძლებელია, მარა დარწმუნებული, რომ ხალხი აჯანყებისთვის მზათაა, აჯანყების მოწყობას და ამ მიზნით საიდუმლო მებრძოლ რაზმების შექმნას—აი რას ისახავდენ თვისი მოქმედების უმთავრეს საგნათ. „ბოლშევიკები“ გაიძახიან, რომ პროლეტარიატი და გლეხ-კაცობა აჯანყებას ელტვის და ამიტომაც მისი აჯანყების მოწყობა და ამისათვის მებრძოლ რაზმებით რუსეთის მოფენა და მათი პარტიზანული გამოსვლით გაწვრთნა—აი სოციალდემოკრატიის მთავარი საგანი.

ბლანკისტები ძალას იკრებდენ იმ წუთისათვის, როცა აჯანყება უნდა დაეწყოთ, მანამდის კი რევოლიუცინურ გამოსვლას გაურბოდენ. ასევე იქცევიან „ბოლშევიკები“. მათი აზრით აუცილებლათ საჭიროა საერთო შეიარაღებულ აჯანყების მოწყობა, ცალ-ცალკე რევოლიუციონური გამოსვლა კი პარტიას ასუსტებს, რევოლიუციას ფრთებს უკვეცს, რეაქციას კი ამაგრებს და აძლიერებს.

ბლანკისტები ამბობდენ, რომ აჯანყების წინამძღოლი ეს მებრძოლი რაზმებია, რომელთაც ხალხის მასსა უკან გაყვება და ამიტომაც აჯანყების გამარჯვება სახელმწიფო ძალას და მით დროებით მთავრობას ხელთ ჩაუგდებსო. „ბოლშევიკები“ გაიძახიან, რომ აჯანყებას სათავეში ძალაუნებურათ გაწვრთნილი პარტიზანული გამოსვლით მებრძოლი რაზმები მოექცევა და რადგან მებრძოლი ელემენტი—ეს პროლეტარიატი და გლეხ-კაცობაა, აჯანყების გამარჯვებით სახელმწიფო ძალას პროლეტარიატი და გლეხ-კაცობა დაიპყრობს და დროებითი მთავრობაც მათგან შესდგებაო.

ბლანკისტები სახელმწიფო უზენაესი ძალის დაპყრობით თავის სოციალისტურ მიზნის განხორციელებას ლამობდენ, „ბოლშევიკები“ კი დროებითი მთავრობის მეოხებით დამფუძნებელი კრების მოწვევას და დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცებას ელიან.

ბლანკისტები უმთავრეს უბედურებას ბურჟუაზიის მიერ სახელმწიფო ძალის დაპყრობაში ხედავდენ და თავის საბრძოლველ იარაღსაც ამის წინააღმდეგ ლესავდენ. „ბოლშევიკების“ აზრითაც ბურჟუაზიის—ამ შემთხვევაში კადეტებისაგან—მთავრობის ხელში ჩაგდება რევოლიუციას წინ გადაეღობება და მას დაასუსტებს და ან შეაჩერებს. ამიტომაც არის ისინი ეწინააღმდეგებიან კადეტების სამინისტროს შედგენას და ასეთ ნაბიჯს რეაქციონურად სთვლიან.

ასეთია სრული თანხმობა „ბოლშევიკებისა“ და ბლანკისტებისა. რა არის აქ სოციალ-დემოკრატიული. მარქსისტული „ბოლშევიკების“ ტაქტიკა ეს ბლანკიზმის აღორძინებაა, ეს „ბუნტარების“ ტაქტიტიკას გამეორებაა, იაკობინური დემოკრატიის ტაქტიკის სოც.-დემოკრატიულ პარტიაში გადატანაა, თუ ამის და მიუხედავათ მას ჩვენს პარტიაში შემაერთებელ სიეზდის შემდეგაც მიმდევარი ყავს, ეს აიხსნება დემოკრატიული ინტელიგენციის პარტიაში შემოჭრით, ერთი მხრივ, და ზოგ ამხანაგთაგან სოც.-დემოკრატიულ ტაქტიკის უცოდინარობით, მეორე მხრივ. ამ უკანასკნელზე შემდეგ.

პ.

---

*) მეთაური გლეხთა აჯანყებისა მეთვრამეტე საუკუნის ნახევარში.

ხდი—პარტიული მუშაობის გასაერთიანებლათ და დუმის კამპანიის საუკეთესოთ გასატარებლათ. სიეზდის გადაწყვეტილებას რომ მეტი ავტორიტეტი მიეცეს, კრება საჭიროთ სცნობს სიეზდზე რაც შეიძლება წარმომადგენლების რიცხვი გაფართოვებულ იქნას. ამ მიზნით კრება წინადადებას იძლევა შეიცვალოს ძველი საარჩევნო წესი და უმაღლეს ნორმათ—წარმომადგენლის ასარჩევათ—მიღებულ იქნას 300-ის მაგიერ 150.

წინადადება ერთხმათ იქნა მიღებული.

დათიკო.

—

სამტრედიის რაიონი. შაბათს, 17 ივნისს, მოხდა სამტრედიის რაიონის სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი ცენტრის კრება, რომელსაც დაესწრო ადგილობრივ მომუშავე პროპაგანდისტებიც. კრებამ განიხილა სხვათა შორის, თფილისის ბიუროს რეზოლიუცია დუმის კამპანიის შესახებ და ცოტა ხნის კამათის შემდეგ, ერთხმათ მიიღო ის. კრებამ გადაწყვიტა გამართოს მთელი რიგი მიტინგებისა და ეცადოს ყველგან გაიყვანოს ხსენებული რეზოლიუცია.

კვირას, 18 ივნისს, მოხდა ცენტრის გადაწყვეტილების თანახმათ, გაღმა-გამოღმა საჯილაოს მცხოვრებთა შეერთებული მიტინგი. დაესწრო ათასამდე ქალი და კაცი. მიტინგს ხელმძღვანელობდენ ჩვენი ამხანაგები. ერთმა ამხანაგმა აუხსნა კრებას დღევანდელი პოლიტიკური მომენტი, დუმის როლი იმ სხვა და სხვა საგულისხმო მოვლენებში, რომლებიც დღეს ხდება ქალაქში, სოფელში, ჯარში. ამხანაგმა მიუთითა იმ რეალურ ძალებზე, რომლებზეც ეყრდნობა დღეს რეაქცია, და რომლებზეც—რევოლიუცია. ორი საათის ლაპარაკის შემდეგ ამხანაგმა სიტყვა იმით დაათავა, რომ საჭიროა სახელმწიფო დუმის ყველა ოპოზიციონურ და რევოლიუციონურ ნაბიჯის მხარის დაჭერა, საჭიროა ჩვენ დეპუტატებთან მკვიდრი კავშირით შეკვრა და სხვა. გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ, გაღმა-გამოღმა საჯილაოს მცხოვრებნი, აღფრთოვანებით მივესალმებით დუმაში ჩვენი ამხანაგების მედგარ, პირდაპირ და გაბედულ მოქმედებას და მათთან უხილავს, მაგრამ მაგარი ძაფით შეკავშირებულნი, გაფაციცებით თვალს ვადევნებთ ყოველ მათ ნაბიჯს. სიხარულით აღვნიშნავთ სოციალდემოკრატიულ ფრაქციის დაარსებას. რაც შეეხება ტაქტიკას დუმის კამპანიის შესახებ, ჩვენ ერთხმათ ვღებულობთ თფილისის ბიუროს რეზოლიუციას ამ საგნის შესახებ და აღვიარებთ, რომ ბნელი ძალების დასალეწათ, დემოკრატიის ბოლომდე მისაყვანათ ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. წინ, ამხანაგებო! თქვენი მოწოდებით, ჩვენ, როგორც ერთი კაცი, ყველანი ფეხზე დავდგებით“.

მიტინგმა გამოიტანა მეორე რეზოლიუცია ქალების კაცებთან უფლებებში გათანასწორების შესახებ, რასაც დამსწრე ქალები სიხარულით მიეგებენ. აღსანიშნავია, რომ ამ ვეებერთელა კრებაში ამ რეზოლიუციის წინააღმდეგ თითქმის არავინ წასულა.

მ. ნ.

P. S. მიღებული რეზოლიუცია დღესვე გაეგზავნა ამხანგ. ის. რამიშვილს.

მ. ნ.

პროვინცია.

—

ჩოჩხათი. კვირას, 28 მაისს, აქ მოხდა კრება, რომელსაც დაესწრო ათასამდე კაცი. კრებამ აირჩია თავმჯდომარე და 30 გასარჩევი საქმიდან გამოჰქო მხოლოდ ორი, როგორც უფრო საჩქარო და დაიწყო განხილვა. ეს ორი კითხვა იყო: პარკის გაყიდვისა და ქურდების შესახებ. პირველ საკითხზე საზოგადოებამ დაადგინა: რადგან ადგილობრივი ჩარჩი გაჭრები ყოველთვის იმას ცდილობენ, რომ მეტი ტყავი აგვაძრონ იმარეგენ წონაში, თითო აბაზათ სესხულობენ მევახშეებიდან ფულს და მით ყიდულობენ ჩვენს პარკს და პროცენტებს კალებასას ჩვენვე გვაწერენ კისერზე, დაადგინეს არავითარ შემთხვევაში მათ არ მიეყიდოთ პარკით. აირჩიეს სამი კაცი და დაავალეს გაიგონ პარკის ნამდვილი ფასი და მოუძებნონ მუშტარი. იმ შემთხვევაში, თუ არავინ მუშტარი არ იქნება, დავიქირაოთ აქ სახარშავი, მოვხარშოთ, წამოვიღოთ, შევინახოთ და როდესაც ჩვენთვის ხელსაყრელი იქნება მაშინ გავყიდოთ.

მეორე კითხვამ, ქურდების შესახებ, დიდხანს გასტანა. საზოგადოებამ დაადგინა მივიღოთ ზომები და რამენაირათ აღმოვაჩინოთ ის ქურდები, რომლებმაც ამ რეაქციის დროს წამოყვეს თავი და ალარიულს გვიყენებენ. იქვე კრებაში რამოდენიმე კაცმა უჩვენა ერთ ახალგაზდა ბიჭზე ეს ქურდი არისო. შესანიშნავი იყო იმ ახალგაზდის ბიძაშვილის, უბრალო სოფლის მუშა გლეხის სიტყვა მის წინააღმდეგ მიმართული. აი მისი სიტყვები: „ამხანაგებო! ყველა ჩვენ ერთმანეთის ძმები ვართ, მაგრამ ეს ხომ ბიძაშვილია ჩემი და მკვიდრი ძმა, მაგრამ არ შემიძლია დავიცვა ის ამ ბრალდებისაგან, დილაან დამაანს ვმუშაობ ფეხშიშველა და დაფლეთილი ტანსაცმელით ამ სიცხეში, ერთი წუთი მოსვენება არა მაქვს, მაგრამ თავი ვერ დავირჩინე, ნახევარჯერ ხმელა მჭადი არა მაქვს საჭმელი და ცოლშვილი ტიტველა მიყრია სახლში, მაგრამ რა ვქნა, არ მრცხვენია ეს დღევანდელ დროში და უყურებ კარგს მომავალს. ამ ვაჟბატონს კი (უჩვენებს თავის ბიძაშვილზე), დღიან დამაანსათ სძინავს, არაფერს აკეთებს და ჩემზე უკეთესათ ცხოვრობს, საიდან და რა წყაროდან თუ რომ არ ქურდობდეს და არ წუწკობდესო“.

საზოგადოება ტაშის ცემით მიეგება ამხანაგ მუშის სიტყვას; შემდეგ მიცვივდენ ქურდს, მაგრამ რამოდენიმე პირებმა შეაჩერეს და უთხრეს: იქონიეთ მოთმინება, აღმოვაჩინოთ დანარჩენი ქურდებიც და ერთათ ისეთი მსჯავრი დავდვათ, რომ გავასწოროთ რამენაირათო. აირჩიეს კომისია დანარჩენ ქურდების გამოსაკვლევათ, ეს ერთი ქურდი კი თავდებში გაანთავისუფლეს და კრება დახურეს.

ქრისტეფორე

—

ყანის საზოგადოება. „თავათ არაიყო ძმარით, შიგ გარია წყალიო“, სწორეთ ასე ჩვენი საქმეც. მთელი ეს რაიონი გამოღმა მხარე სხვა წარმოებას მოკლებულია გარდა აბრეშუმისა, აბრეშუმი ჩვენი ერთათ ერთი ნუგეშია. ამის წყალობით ვიგდებთ ხოლმე ორიოდე გროშს ხელში და გატიტვლებულ ცოლ-შვილს ვმოსავთ. დღეს ამასაც ნიორ-წყალი გადაესხა, ფუთი პარკი თორმეტ-ცამეტ მანეთათ გახდეს, ისიც პირველი ხარისხისა და ქუთაისში ან სამტრედიაში ჩატანილი, სხვა მხრივ გაჭრები არ შემოდიან სოფლებში, აგაზაკები გაგვცარცვავენო გაიძახიან. ეს იმას გავს, მგლებმა რომ სთქვან ტურების გვეშინიაო. აი, მკითხველო, ასეთი გაჭირვებულ მდგომარეობაშია ხალხი. ჯერ სხვას რომ თავი დავანებოთ მარტო ხეებზე უნდა იპოტინოს თოხმა ხუთმა სულმა მთელი ორი თვე. გარდა იმისა რომ ჭიის ნეხვისაგან ჭაერი ეწამლებათ და მთელი ზაფხული ციების კერძი ხდებიან. აი ამდენი შრომის შემდეგ თავისი ნაშრომი ზემორე აღნიშნულ მიზეზების გამო იძულებულია ჩალის ფასათ გაყიდოს. ასეთ დროს დაძვრებიან ბატონი რეაქციონერები და ხალხში ჩურჩულებენ, აი თქვენ ერთობას რომ აყევით იმან ქნა ესო.

პიპინია მიქელაძე.

—

ს. დერჩი (ლეჩხუმის მაზრა). ალიხანოვ-ავარიელის „სახელოვანმა“ რაზმმა სოფელ დერჩსაც ის დღე აჭკიდა, რაც მთელ საქართველოს, მაგრამ ჩვენ ამ უბედურებათა აღწერას არ შევუდგებით მხოლოდ აღვნიშნავ საქციელს ჩვენებური სულიერი მამებისა და გაუმაძღარი მებატონეებისას.

ამ სოფლის მღვდლებმა, რა რომ დაინახეს რეაქციის ძალები, დაფაცურდენ, აფრინეს „რაპორტები“ მთავრობასთან და ძალათ გადაახდევინეს გასული წლის დრამის ფული სოფლელებს. ვისაც ფული არ ქონდა ნივთებით და საჭმელი სიმინდით დაიკმაყოფილეს გაუმაძღარი მუცელი; ამის სისრულეში მოსაყვანათ განსაკუთრებული სახელი მოიხვეჭა მღვდელმა პარმენმა, რომელსაც შედარებით სხვა მღვდლებისა მეტი სწავლა და უნარი შესწევს. მღვდლებს არც აქაური მებატონეები, ახვლედიანები, ჩამორჩენ, ამათ კიდევ დარჩენიათ ძველი რეჟიმას წყალობა რამოდენიმე კომლი სანადელო გლეხები, რომელთაც წლიურათ ახდევინებენ თორმეტ აბაზს ტყისა და სამოსახლოს ბაჟს, ორ კოდ სიმინდს და ორ ჩაფ ღვინოს სხვა სანადელო ადგილის შემოსავლათ. კარგი ხანია გლეხებს ეს გადასახადი არ გადაუხდიათ მემამულეების სასარგებლოთ; მაგრამ ისარგებლეს რა ახლა შესაფერი დროით ამ ვაჟბატონებმა ძლევა მოსილი ალიხანოვის მხედრობის სახელით განუცხადეს გლეხობას ნადელის გადახდა. თან დაემუქრენ განადგურებას თუ ვინმე უარს განაცხადებდა; ხალხი ამ მუქარამ საგონებელში ჩააგდო, რა ქნას არ იცის. გადასახადის საშუალება არა აქვთ. ვინ არის მშველელი.

გარდახვეწილი.

ლუმპენპროლეტარიატი და ანარქიზმი *)

(გადმოკეთებული)

ყველა დაჩაგრული კლასი ოცნებობს ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ისახავს იდეალს და მის განსახორციელებლათ საშუალებასაც ეძებს. პროლეტარიატის იდეალია სოციალისტური საზოგადოება და ამ იდეალის განსახორციელებლათ ყველა ქვეყნის პროლეტარები ერთდებიან ერთ პარტიათ—სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიათ. აქვს თუ არა ლუმპენპროლეტარიატს ასეთი იდეალი და თუ აქვს რა გზით ახორციელებს მას? ამ ნაძირალებს ასეთი იდეალის ნასახიც არა აქვთ და ამაზე აქ ლაპარაკი მეტია. ისინი ქურდობით, მოტყუებით, ძარცვა-გლეჯით და ყოველგვარი უსინდისური საშუალებით იძენენ ლუკმა-პურს.

ლუმპენპროლეტარიატის უმაღლეს ნაწილში, რომელიც ასე თუ ისე მუშათა რაზმს უახლოვდება, იბადება რევოლიუციონური ანარქიზმის იდეალი. რევოლიუციონური ანარქისტები სახელმწიფოს მოსპობას ცდილობენ, მათთვის არავითარი კანონი არ არსებობს და არც უნდათ, რომ არსებობდეს. ანარქისტები მუდამ ჟამს ოცნებობენ თავისუფალ ასოციაციაზე, თავისუფალ მწარმოებლებზე, ამ იდეალის განსახორციელებლათ ორგანიზაციურ პარტიათ ისინი არ ერთდებიან, ვინაიდან თვითეული პარტია დისციპლინას მოითხოვს და ეს კი მათ პრინციპს ძირიან-ფესვიანათ ეწინააღმდეგება. მათი ტაქტიკა მრავალგვარია, უფრო ზომიერი ანარქისტები სიტყვით პროპაგანდას აღიარებენ, უფრო ფიცხები კი მოქმედებით პროპაგანდას, რაც გამოიხატება ყუმბარების, ხანჯალ-რევოლვერ-დანის და სხვა იარაღის ხმარებაში.

ანარქისტები მეცნიერულ საფუძველს მოკლებულნი არიან და ამისათვის მათ პროგრამაში და ტაქტიკაში ყველაფერი დომხალივითაა არეული. იმ პროლეტარებში, რომლებიც თავისი შრომით ცხოვრობენ ანარქიზმს არავითარი გასავალი არა აქვს, მაგრამ სამაგიეროთ ანარქიზმს ძლიერ ადვილათ შეითვისებს ინტელიგენციის ერთი ნაწილი, ლუმპენპროლეტარიატი და სხვა პარაზიტული წ-ეები. ხელოსანს თავისი პაწაწა საკუთარი სახელოსნო აქვს, გლეხს—ნაკუწი მიწა, ინტელიგენტს—დიპლომი და ლუმპენპროლეტარიატი კი თავისუფალი ჩიტია, რომელსაც არავისთან დამოკიდებულება არა სურს. ასე ამრიგათ ანარქიზმს და ლუმპენპროლეტარიატს ერთმანეთ შორის მტკიცე კავშირი აქვს. რასაკვირველია ყველა ანარქისტები ლუმპენპროლეტარები არაა და ყველა ლუმპენპროლეტარები—ანარქისტები. ლუმპენპროლეტარების ერთ ნაწილს თვისება აქვს ანარქიზმის შეთვისების და ანარქისტების ნაწილიც ლუმპენპროლეტარებს ეკუთვნის.

ანარქიზმი — ეს დაუსრულებელი და ულოღიკო „მეცნიერებაა“. ის იმდენი ნაწილებიდან შედგება, რამდენი ავტორებიც მუშაობდა ამ „მეცნიერების“ გამოსარკვევათ. პრუდონი და ტოლსტოი, კრაპოტკინი და რავაშოლი, ბაკუნინი და რეკლიუ ყველა ანარქისტებია.

არავის კი ისე ტლანქათ, გზა-კვალ აბნეულათ, ანარქიზმი არ ესმის, როგორც ლუმპენპროლეტარიატს. მის თავში ანარქიზმი „ლუმპენ-ანარქიზმათ“-აა გადაქცეული და ძარცვა-გლეჯაში გამოიხატება. გერკნეს ანარქისტების გაზეთიდან მოყავს ანარქისტების დამახასიათებელი ადგილი. „საქმეს ფიცხლათ ხელი მოკიდეთ! ხელში აიღეთ ცული, სატეხი, ბურღი, ხერხი, მარწუხი, კორკოტანი, საწამლავი, დარიშხანი, ტომარი, ბაწარი, რევოლვერი და ყუმბარა! ურაა“!..

რა აქვს საერთო პროლეტარიატს და მის იდეალს ამ ბოდვასთან?..

ამ უკანასკნელ ხანებში რუსეთში და ჩვენშიაც ლუმპენპროლეტარებში და მუშათა მცირე ნაწილებშიაც თავი იჩინა სულელურმა ანარქიზმმა. ამის მიზეზი ისაა, რომ წარმოება კრიზისის სამოსელში გაეხვია. „მოქმედებით პროპაგანდა“ რუსეთში ზევით მოყვანილი რეცეპტის მიხედვით არ წარმოებს, მაგრამ მოდაში სამაგიეროთ შემოვიდა „ექსპროპრიაცია“. შეიძლება თამამათ ვსთქვათ, რომ არც ერთ სწავლას ასე გადაუკუღმართებულათ არ ესმის სიტყვა „ექსპროპრიაცია“, რომელიც მარქსიდან ისესხეს. მარქსი „კაპიტალის“ პირველი ტომის ბოლოში ამბობს: „ექსპროპრიატორების ექსპროპრიაცია“ ე. ი. კაპიტალისტებისთვის წარმოების საშუალების ჩამორთმევა და საზოგადოების ხელში გადასვლა. ჩვენ „ლუმპენ-ანარქისტებს“ ამის განხორციელება ეხლავე სურთ: ისინი დადიან ბინებზე რევოლვერებით, ყუმბარებით და ფულებს ითხოვენ. ანარქიზმის და ძარცვა-გლეჯის შორის საზღვარი გასწორდა. ამ სენის საწინააღმდეგოთ, რომელიც რევოლიუციის დროს გავრცელდა და გამათავისუფლებელ [მოძრაობას ძლიერ უშლის ხელს საჭიროა ენერგიული ბრძოლა და ამ ბრძოლას მხოლოდ შეგნებული პროლეტარიატი იკისრებს.

ზ. უბედურიძე

სოფლელ მუშათა პროტესტი ანარქისტების წინააღმდეგ

მიუხედავათ ყოველ კუთხიდან მუშათა ჯგუფების პროტესტისა, „მუშის“ რედაქცია არ ასრულებს მუშების სამართლიან მოთხოვნას თავს არ ანებებს ქუჩურ ლანძღვა-გინებას, არ იცვლის „მუშის“ სახელს და არ ეძებს თავის შესაფერ სახელს გაზეთისათვის. ჩვენ, ლანჩხუთის სოფლელი მუშები, სასტიკ ბოიკოტს ვუცხადებთ როგორც „მუშის“, ისე „ნობათის“ რედაქციებს, სანამ ეს გაზეთები არ დაანებებენ თავს ყოვლად სამარცხვინო იარაღის ხმარებას იდეურ მოწინააღმდეგის მიმართ. ამისათვის ჩვენ მოუწოდებთ ყველა იმ ჯგუფებს და ამხანაგებს, რომელთაც აშფოთებს ანარქისტების უგვანო საქციელი, არ მისცენ საშვალება, რომ ვრცელდებოდეს ისეთი გაზეთი, რომელიც სამარცხვინო დაღია მთელ მწერლობისათვის.

სირცხვილი იმ პარტიას, რომელიც გუშინ სოციალისტობას ჩემობდა და დღეს მუშათა ჯგუფებისაგან ყოველ დღე პროტესტებს ითმენს და მათი ხმის წინაშე ქედს არ იდრეკს! სირცხვილი და სასტიკი ზიზღი აგრეთვე ყველა იმ ქართულ ორგანოებს და პარტიებს, რომლებიც განზე გამდგარან და აღუშფოთებლათ სეირს უყურებენ. განა სირცხვილი არ არის თქვენი, სოციალისტ-ფედერალისტებო და ძმანო მათნო, ხმა რომ ჩაიკმინდეთ და პროტესტი არ განუცხადეთ „მუშის“ საზიზღარ უგვანო ქცევას*), რომელმაც შეურაცხყო არა მარტო სოციალდემოკრატია, არა მარტო მუშათა კლასი, არამედ მთელი ჩვენი ლიტერატურა. ნუ თუ თქვენ კიდევ შეგიძლიათ ხალხში გაიძახოდეთ—სოციალისტები, მუშების პრინციპებით ვართ გამსჭვალულიო, როცა მუშების ორას-სამასობით პროტესტების ხმას თქვენს ხმას არ უერთებთ. მაგით ერთხელ კიდევ გამოამჟღავნეთ თქვენი სულის კვეთება. ჩვენ, მუშები უთქვენოთაც ვიქმთ იმას, რაც გვწადია, ჩვენ თვითონ მივცემთ ჩვენს პარტიას, სოციალდემოკრატიას, იმ დიად კვერთხს, რომელიც ქვეყნის პირისაგან აღგვის შარლატან-ქუჩურ-ყაყახანურ ხალხს! მაშ მხარი მივცეთ, ამხანაგებო, ჩვენს პარტიას და სასიკვდილო ლახტი დავკრათ ბოიკოტის გამოცხადებით ანარქისტების უგვანო მოქმედებას.

ხელს აწერს 65 კაცი.

ჯგუფის მინდობილობით თედორე ღლონტი.

მუშათა შორის

—

18 ივნისს შეიკრიბენ თფილისის დურგალთა წარმომადგენლები (15 კაცი) პროფესიონალური კავშირის დასაარსებლათ. კრებას არ დაესწრებიან ავლაბრის, ჩუღურეთის, მთაწმინდის, სოლოლაკის და შაჰ-სოფლის დურგალთა წარმომადგენლები. მეორე კრება დანიშნულია 25 ივნისისათვის. იმედია ამ დღეს მაინც გამოცხადდებიან აღნიშნულ უბნების წარმომადგენლები.

—

თფილისის ქალ. ყასბებთან მომუშავეთა მოთხოვნილებანი: 1) კვირაობით თორმეტ საათზე ვაჭრობის შეწყვეტა და 1 საათ. დაკეტვა; 2) კვირაობით სადილის ფული 30 კაპ.; 3) წელიწადში ერთი თვე თავისუფალი ადგილისა და ჯამაგირის შენახვით; 4) ზრდილობიანი მოპყრობა; 5) ავათმყოფობის დროს ორი თვის ჯამაგირი ადგილის შენახვით; 6) მუშის დათხოვ-მიღება მუშებისავე თანხმობით; 7) თვეში მანათი აბანოს ფული; 8) ვისაც 70 თუმანზე ნაკლები ჯამაგირი აქვს წელიწადში, ერთხელ მოემატოს 10 პროცენტი; 9) უსაბუთოთ დათხოვილ მუშას მიეცეს სამი თვის ჯამაგირი; 10) თუ ხაზეინმა სავაჭრო დაკეტა, ვალდებულია მისცეს მუშას ექვსი თვის ჯამაგირი; 11) მოჯამაგირე ვალდებულია სამსახურიდან გასვლის სურვილი ორი კვირით ადრე გამოუცხადოს.

—

აქციონერთა, სარაჯიშვილის და სოგომონოვის ქარხნის მუშათა მოთხოვნილებანი: 1) მოემატოს ჯამაგირი ყველა თვიურ მუშებს ამ გვარათ: ვინც 20—25 მანეთს იღებს მიემატოს 50 პროცენტი; ვინც 26—30 მან.—40 პროც.; 31—35—30 პროც.; 36—40—20 პროც.; 41—50—15 პროც.; 2) დღიურ მუშას მიეცეს დღეში მანეთი და ექვსი დღის შემდეგ თუ საჭირო დარჩეს ჩაირიცხოს თვიურ მუშათ 25 მან. ჯამაგირით; 3) თითოეულ მუშას მიეცეს საჩუქარი (თვიური ჯამაგირის ოდენა) წელიწადში ორჯერ (ახალწელიწადს და აღდგომას); 4) სამუშაო დღე 8 საათი, უქმეების წინ კი ექვსი საათი. რექტიფიკაციასა და კაჩეგარნიაში შემოღებულ იქნას **სამ რიგი** მუშაობა; 5) ყველა მუშას მიეცეს ზამთარ-ზაფხულ ჩაი და შაქარი. მიეცეს თვეში ერთხელ $^1/_{10}$ არაყი; 6) წელიწადში ერთი თვე თავისუფალი ჯამაგირისა და ადგილის შენახვით; 7) პოლიტიკური და ეკონომიური გაფიცვების დროს მუშას ეძლეოდეს სრული ჯამაგი. გაფიცვისათვის დაჭერილ მუშას მიეცეს ექვსი თვის ჯამაგირი და შეენახოს ადგილი განთავისუფლებამდე; 8) მთავარ ქარხანაში დაწესდეს მუშებისთვის სამკურნალო. დაინიშნოს მუდმივი ექიმი და ფერშალი. სხვა განყოფილებებში დაარსდეს პატარა აფთიაქები. მუშას უნდა შეეძლოს ექიმის სახლში მიწვევა და უნდა ეძლეოდეს ხაზეინისაგან უფასო წამალი; 9) უმთავრეს ქარხანასთან დაარსდეს აბანო ყველა მუშებისათვის; 10) უმთავრეს ქარხანასთან დაარსდეს ბიბლიოთეკა და სამკითხველო, ხოლო განყოფილებებში გამოწერილ იქნას გაზეთები მუშების ჩვენებით; 11) თუ ქარხანა ვისმე ხელში გადავიდეს, ყველა ჩვენი მოთხოვნილებანი ძალაში დარჩეს. თუ წარმოების შემცირების გამო რომელიმე მუშა უსაქმოთ დარჩეს, მიეცეს ერთი წლის ჯამაგირი თავისი საჩუქრებით; 12) როდესაც მუშის ოჯახს დააკლდება მცირე წლოვანი წევრი, მიეცეს სამარხი 25 მ. სრულ წლოვანზე—50 მან., ხოლო თვითონ მუშის სიკვდილის შემდეგ მიეცეს ოჯახს 300 მ. 12) ავათმყოფობის დროს, (რამდენ ხანსაც უნდა გაგრძელდეს) ეძლეოდეს მუშას სრული ჯამაგირი და ენახებოდეს ადგილი. ხოლო თუ მუშა ისე დაუძლურდეს, რომ შრომა აღარ შეეძლოს, დაენიშნოს მას ჯამაგირის ნახევარი სიკვდილამდე; 14) მუშათა კომისიის დადგენილებით მუშას ქონდეს უფლება აიღოს ავანსი 100 მანეთამდე 15) შემოღებულ იქმნას ყველა მუშებისათვის უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევა; 16) სალდათათ წაყვანილ მუშას მიეცეს სამი თვის ჯამაგირი თავის საჩუქრებით; 17) მუშების მიღებ-დათხოვნა მუშების თანხმობით უნდა ხდებოდეს; 18) მიეცეს მედროგეებს (კონდ. კუჩრებს) წვიმაში წასასხმი და ზამთრის ხელთათმანი. ჭურჭლის მრეცხელებს კლიონკის ფართუკები. ყველა მრეცხავს, დამწყობს და მენახშირეს ხალათები და ფართუკები; 19) დაურიგდეს მუშებს ქარხნის წესები და ფურცლები. აგრეთვე საანგარიშო წიგნაკები ხაზეინის მიერ ხელმოწერილი; წიგნაკში უნდა მოთავსდეს ჩვენი მოთხოვნები; 20) ზედმეტი მუშაობა სასტიკათ აიკრძალოს; 21) ყველა ჩამოთვლილ მოთხოვნებით ერთგვარათ უნდა სარგებლობდენ ამ ფირმის მუშები; 22) ამ მოთხოვნების წარდგენის დღეიდან სამ დღეს ვადას გაძლევთ ხაზეინს მშვიდობიანათ საქმის გათავებისათვის.

მუშები გუშინ უკვე გაიფიცენ.

—

ძმ. ასათიანების ნოქრები (ქუთაისი). 12 ივნისს გაიფიცენ ძმ. ასათიანების ნოქრები. მოითხოვეს, 1) ძველი სამუშაო პირობების აღდგენა, რადგან რეაქციით გამხნევებულმა ხაზეინმა ცოტაოდენი შეღავათი ნოქრების უკანვე წაიღო; 2) დროებით მომუშავის მიღება; 3) ჯამაგირის მომატება; 4) ცალკე ფული ბინების საქირაოთ. გაფიცვა ოთხ დღეს გაგრძელდა და ნოქრების გამარჯვებით დასრულდა.

—

პეიზვილის სამკერვალო. (ქუთაისი). ამ სახელოსნოში მომუშავენი დღემდე დილის 7 ს. საღამოს 7 საათამდე მუშაობდენ. ახლა კი ხაზეინს მადა მოუმატა და დილა ადრიან დაწყებული დაღამებამდე ამუშავებს მკერვალებს. გარდა ამისა ეს ზემოხსენებული ალა საუცხოვო ლანძღვა-გინების მცოდნე პირია. მუშის პიროვნების ფეხ-ქვეშ გათელვა ჩალის ფასათ არ უღირს. მოთმინებიდან გამოსული ქარგლები გაიფიცენ. მოითხოვეს 1) სამუშაო დროს შემოკლება; 2) ხაზეინის მიერ ზრდილობიანი ქცევა; 3) სამუშაო პირობების გაუმჯობესება.

ფირალოვის ქარხნის მუშები გაფიცვას განაგრძობენ.

—

ქუთაისი. 19 ივნისს გაიფიცენ ქუთაისის ნოქრები.

აი მათი მოთხოვნები.

1) ნოქრებს მოესპოთ ხაზეინებთან ბინა და სადილობა მაღაზიაში; 2) ნოქრებს მიეცეს დილაობით ჩაი მაღაზიაში და საღამოს ჩაის ფულათ 3 მანეთი თვეში; 3) მაღაზიები იღებოდეს დილის 8 საათზე, იკეტებოდეს საღამოს 6 საათზე და სადილობის დრო ისაზღვრებოდეს 1 ნახევარ საათით; 4) ნოქრებს დაურიგდეს ჯამაგირი თვეში ორჯერ 15—30 რიცხვში; 5) ავათმყოფობის დროს მიეცეს 1 თვის ჯამაგირი და ადგილი შეენახოს 3 თვეს. 6) ნოქრებს მიეცეს წელიწადში ერთი თვის თავისუფლება, ჯამაგირის შენახვით, მხოლოდ გამორიცხება განაცდენი დღეები თვიანთ საჭიროებაზე; 7) ზრდილობიანი მოპყრობა ხაზეინებისაგან; 8) მოსამსახურეების მიღება დათხოვნა ეკითხებოდეს ორივე მხარეს, უთანხმოების დროს დაინიშნოს სამედიატორო სამართალი; 9) მაღაზიების გარეთ ნოქრებს არ ევალებოდეს საქონლის გაყიდვა (ე. ი. აირმარკაში), 10) გაფიცვისათვის ნოქრები არ იქნეს დათხოვნილი

---

*) დასასრული, იხ. „ლამპარი“ № 46.

*) „შრომამ“ არა თუ პროტესტი არ გამოუცხადა ანარქისტებს, არამედ კიდევაც წააქეზა და მათ მიერ ჭორების გავრცელებას ხელი შეუწყო. „ივერიამაც“ და აგრეთვე „კავკასკია ვესტი“-მ კვერი დაუკრეს ანარქისტებს სოც.-დემოკრატების ლანძღვაში.

რედ.

და ჯამაგირიც ეძლიოდეს; 11) ნოქრებს აეკრძალოს მუშტრების ხვეწნა-ძახილი; 12) მოისპოს სადილადო მაღაზიაში.

II

1) შეგირდებს, რომელთაც უმსახურიათ ორი წელიწადი, დაენიშნოს წელიწადში ჯამაგირი ოთხმოცი (80) მანეთი. 2) დღემდის მიღებულ შეგირდებს რომლებსაც არ შეუსრულებიათ ორი წელიწადი, მიეცეს სასმელ-საჭმელი და გიგიენურათ მოწყობილი ბინა, აგრეთვე მიეცეს აბანო დაბაძე თვეში ერთხელ, სცვლები სამი წყვილი და ორ-ორი წყვილი ტანისამოსი ზამთრის და ზაფხულის. 3) შეგირდების არა სამაღაზიო საქმის კეთება აკრძალულია (ოჯახში). 4) შეგირდების ტვირთი ისაზღვრებოდეს ნახევარი ფუთი, დროგის დაცლა და დატვირთვაც, აგრეთვე მძიმე ცალების შეკვრა აკრძალულია. 5) შეგირდების მიღება არ შეიძლებოდეს ნაკლებ 14 წლისა. 6) დღემდინ მიღებული შეგირდები მსახურებენ ერთ წელიწადს და ამ ვადის განმავლობაში თანახმად მეორე პუნქტისა, ეძლიოდეს დამატებით თვეში ერთი მანეთი. 7) შეგირდები ავათმყოფობის დროს უნდა მოთავსდეს საავათმყოფოში, ერთი თვით ხაზეინის ხარჯზე.

მხერხავების დადგენილება. 9 თიბათვეს მოხდა შეერთებული კრება თფილისის ხუტეს მასალის ხელით მხერხავ მუშების და ხაზეინების. კრებამ ერთხმათ გამოიტანა შემდეგი დადგენილება.

1) 12 არშინიანი სიგრძის ფიჭვისა ან ნაძვის ხის გახერხვა ვერშოკი შაურათ. ხე უნდა გაიზომოს განიერი თავიდან. ამავე ზომის თელა ან ჭადარის გახერხვა ვერშოკი 7 კაპ. 2) მხერხავი მუშები თავისუფალნი არიან ხის თავების დებვისაგან., 3) მხერხავ მუშების მიღება ხაზეინების საქმეა, დათხოვა კი საამხანაგო სამართლისა., 4) შუა, ნავთი, ნათურა და წყალი ხაზეინებისა., 5) დატვირთ-გადმოტვირთვა მასალისა სავალდებულო არავისთვის არ არის., 6) ხარაჩოებზე მასალის შეტანა და გადმოწყობა მუშების მოვალეობაა., 7) თანხმობით გადაწყდა აკრძალოს გარეთ საქმე და შენობაზე ხის დახერხვა., 8) კავშირი გვაქვს ხერხის ქარხნის მუშებთან, რომ ქარხნის პატრონებს ნება არ ქონდეთ სხვისი ხების დახერხვისა: სახელდობრ მოქალაქისა, საწყობთა პატრონებისა და აგრეთვე ხუროებისა.

ხურო

ქართ. ამხანაგობის სტამბის ნაზირისა და ამკინძველ შეგირდების გაფიცვა. შეგირდების მოთხოვნილებანი: 1) შეგირდს შედებისათანავე დაენიშნოს თვეში 7 მანათი., 2) შეგირდი ორი წლის შემდეგ გადაყვანილ იქნას ასოთამწყობათ., 3) ჯამაგირის მომატების დროს შეგირდს არ მოუმატოს ოთხ მან. ნაკლები., 4) ბიუროს წევრათ არჩეულ ქქნას ერთი შეგირდთაგანი., 5) აგრეთვე მოვითხოვთ მასტერებისაგან (ზოგიერთთა გამოკლებით) ზრდილობიან საქციელს შეგირდებისადმი., 6) სტამბაში მედამ სისუფთავე იყოს., 7) არავის არ ქონდეს შეგირდების მიღება-დათხოვნის უფლება შეგირდთა დაუკითხავათ., 8) ნუ გზავნიან შეგირდებს გარეშე კერძო საქმეებზე. 9) გაფიცვის დროს გაფიცულ შეგირდებს ჯამაგირი სრულად ეძლიოდეს.

შეგირდთა კავშირი

ადგილობრივი პრესა.

გუშინ გამოვიდა ს. დ. „ბოლშევიკების" გაზ. „ახალი ცხოვრება". პირველივე ნომერი ნათელ ჰყოფს, რომ ჩვენსა და მათ შორის დიდი უთანასწორობა არსებობს და მაშასადამე კამათიც აუცილებელი გახდება. ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ხსენებულ გაზეთის გამოსვლას, რადგან ჩვენს „ბოლშევიკებს" საშუალება ეძლევათ სავსებით გამოსთქვან ხოლმე თავისი ტაქტიკური შეხედულებანი და დაიცვან კიდეც თავისი პოზიცია ყველა მოწინააღმდეგეთა წინაშე. ჩვენ მათ დავუპირდაპირებთ ჩვენს შეხედულებას და ასე „აზრთა შეჯახებისაგან—გვწამს—წარმოდინდება ჭეშმარიტება". ამ გვარათ გაიფანტება ის ბურუსი, რომელიც უკანასკნელ შემაერთებელ სიეზდის შემდეგ გავრცელდა, ვითომ შეერთებულთა შორის აღარ დარჩენილიყოს აზრთა არავითარი უთანხმოება. ეხლა ჩვენი პარტიის ყველა მიმდევარნი ცხადლით დაინახავენ თუ რომელი ტაქტიკა—„ბოლშევიკების" თუ „მე შევიკების" (პარტიის ეხლანდელი უმრავლესობა)—გამომდინარეობს ლოღიკურათ მარქსიზმის პრინციპებიდან და რომელი შეეხამება არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას.

რ უ ს ე თ ი

შავრაზმელები დუმის წინა ღმდეგ. პეტერბურგის შავრაზმელ ორგანიზაციების შეერთებულ კომიტეტს გადაუწყვეტია გაგზავნოს პროვინციაში აგიტატორები ხალხის „კრამოლნიკურ" დუმის წინააღმდეგ ასამხედრებლათ. ერთი უმთავრეს აგიტატორთაგანი, სტუდენტი ერმოლოვი, გაემგზავრა ნოვგოროდის გუბერნიაში შავრაზმელ პროკლამაციებით დატვირთული, სხვები წავიდენ სამხრეთ გუბერნიებში. ასეთივე აგიტატორები იგზავნებიან ადესიდან.

მოსალოდნელი ცვლილება. „რ. ს."-ს ატყობინებენ: „კადეტების" (სამინისტრო პრინციპიალურათ გადაწყვეტილია. 14 ივნისს გაემგზავრა პეტერგოფში ს. ა. მურომცევი. ეს გადაწყვეტილება გამოიწვია სხვათა შორის ცნობამ საზღვარ-გარეთიდან, რომ თუ „ანარხია" კიდევ გაგრძელდა, უცხო სახელმწიფოები ჩაერევიან რუსეთის საქმეებში.

„კადეტების" სამინისტროს მოლოდინში სხვა და სხვა დაწესებულებები ძირითად რემონტს ახდენენ: ანადგურებენ აუარება ქაღალდებს, რომელთა გამოქვეყნება არაა ხელსაყრელი მთავრობისთვის. განსაკუთრებით გაჩაღებულია მუშაობა პოლიციის დეპარტამენტში.

ამბოხება ჯარში. ლეიბ გვარდიის პრეობრაჟენსკი პოლკის მთელი პირველი ბატალიონი მიცემულია სამართალში უფროსებისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო. როგორც ამბობენ, დატუსაღებულია ამ ბატალიონის 290 ჯარის კაცი და 6 აფიცერი. ზემოხსენებულ პოლკის კამანდირს, გენერალ-მაიორ გადენს, სასტიკი საყვედური გამოუცხადა ხელმწიფე იმპერატორმა. „20 ვეკის" სიტყვით ამ პოლკის შეცოდება შემდეგში მდგომარეობს: 6—7 ივნისს ლ.-გ. პრეობრაჟენსკის პოლკმა სემიონოვის პოლკის თანდასწრებით აშკარათ გაიმართა ბანაკში მიტინგი; მიტინგს ხელი შეუშალეს აფიცრებმა. 8 ივნისს პოლკი ახალ-პეტერგოფში გადიყვანეს, მაგრამ 1 ბატალიონმა 10 საათის შემდეგ აქაც გამართა მიტინგი, რომელსაც 400 ჯარის კაცი დაესწრო. მიტინგზე მოვიდა დივიზიის უფროსი ოზეროვი. ჯარის კაცების თხოვნით, ოზეროვი წავიდა. ჯარის კაცებმა 20-ამდი მოთხოვნები წარუდგინეს უფროსებს, რომელნიც 11 საათის განმავლობაში უცდიდენ მიტინგის გადაწყვეტილებას; მოითხოვეს სხვათა შორის; ზრდილობიანი მოპყრობა, პოლიციური თანამდებობებიდან განთავისუფლება, დატუსაღებული ამხანაგების განთავისუფლება და სხვ.

დივიზიის უფროსმა მოისმინა მოთხოვნები და განაცხადა, ზოგიერთს ეხლავე დავაკმაყოფილებ, ხოლო დანარჩენების შესახებ უმაღლეს მთავრობის წინაშე ვიშუამდგომლებო. ჯარის კაცებს ძლიერი მღელვარება ეტყობათ. 2 ბატალიონი 9 ივნისს კრონშტადში გაგზავნეს. სემიონოვის პოლკის ჯარის კაცები თანაგრძნობას უცხადებენ პრეობრაჟენელებს.

წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

„ლამპრის„ № 45-ში მოთავსებული იყო ხაზეინი მარტინ გევორქოვის წერილი, რომლითაც სამედიატორო სასამართლოში მიწვევს; მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და არც ვიტყვი უარს: საქმე იმაშია, რომ ხაზეინები ჩვენთან საზოგადოთ პოლემიკას იწყებენ, როცა ჩვენს გაზეთში მათ წინააღმდეგ რამეს დავსწერთ; ეხლა გაიგეს, რომ მუშები მათ წინააღმდეგ ყოველთვის გაილაშქრებენ. ერთი მუშის წერილი არ დაბეჭდილა ისე, რომ ხაზეინებს თავის მართლება არ დაეწყოთ. მარტინ გევორქოვმა კარგათ იცის, რომ მე არავითარი ცილი არ დამიწამებია მისთვის, მაგრამ მაინც უნდა თავი გაიმართლოს. მე ეს არაფრათ მენაღვლება, კიდეც მესიამოვნება: სამედიატორო სასამართლო უფრო კარგათ გამოააშკარავებს მის კარგ კაცობას. მე წინადადებას გაძლევ გევორქოვო, გაზეთს ნუ აცდენ! ეს გაზეთი მუშის გაზეთია, ამას ისეც ბევრი საქმე აქვს. სამი დღის ვადას გაძლევ ე. ი. შაბათს 24 ივნის, საღამოს 6-ზე მობრძანდით „ლამპრის" რედაქციაში: მე ჩემი მხრით ვასახელებ ორ კაცს რ. ერზიკიანცს (გაზ. „კაიწის" რედაქტორი) და ზ. ჩ—ას.

ასალო.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო).

18 ივნისს.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბირომ მიიღო წინადადება ფინანსთა და შინაგან სამინისტროებისა, რომ 1906 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ იქნას 50 მილიონი მანათი დამშეულთათვის დასახმარებლათ. სულ მთელი ხარჯი, სამუშაოს მოსაწყობათ, შიმშილობის წინააღმდეგ საბრძოლველათ და სხვა, მინისტრების აზრით 100 მილიონი მანეთი იქნება. ამასთანავე მინისტრები იმ აზრის არიან, რომ შეუძლებელია მთელი საქმეები ეხლავე ადგილობრივ თვითმართველობათ გადაეცეს.

იუზოვკა. ფრანგების კამპანიის მაღნებში გაფიცვა გათავდა. მოთხოვნების ნაწილი დააკმაყოფილეს.

კრემენჩუგი. კიევის საოლქო სამხედრო სასამართლომ სალდათ კურჩევს, გაძარცვისა და ორი გოროდოვოის მოკვლისათვის ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

ელისავეტპოლი. ვიღაც უცნობმა, ვოგზალის ნაწილის უფროს ბოქაულს სამხედ რევოლვერი დაახალა, იქვე მოკლა და გაიქცა.

ბელოსტოკი. რვა უცნობი თავს დაესხენ ზაბარის ფაბრიკას. შეკრეს მოსამსახურეები და წაიღეს ნივთები და გაიქცენ.

ლონდონი. სადგურ სოლსბერიზე ამერიკიდან მომავალი სწრაფი მატარებელი დაიმტვრა. მოკლულია 28 მგზავრი, უმეტესათ ამერიკელები.

19 ივნისს,

კიევი. კადეტების პარტიის აქაურ კამიტეტში ქრისტიანებისგან განცხადება შემოვიდა, რომლითაც სასტიკ პროტესტს აცხადებენ ებრაელების პოგრომების წინააღმდეგ და იწვევენ ყველას პროტესტისთვის.

ბათომი. როცა აფიცერის მეთაურობით სალდათებს სატუსაღოსკენ ტუსაღები მიჰყავდათ, გზაზე პოლიტიკური ტუსაღები გაიქცენ, მათში რამდენიმე სალდათი. ერთი დაიჭირეს, იარაღი არ უხმარიათ. ხალხი თუმცა დაფრთხა, მარა მალე დამშვიდდენ. დღეს მშვიდობიანათ ჩაიარა.

ბირიუჩი. ალექსანდროვკაში გლეხებმა დასწვეს გრაფ შერემეტიევის სამოსახლო და სამეურნეო შენობები.

იუზოვკა. იასინოვატის სადგურის ახლო სოფელ ი გლეხებმა დასწვეს 160 თივის ზვინი და ტყის ზედამხედველის სახლი, საიდანაც სახლის პატრონმა ცოლშვილით ძლივს გაასწრო.

კაპშტადტი. დიდ რიცხოვან მიტინგზე, სადაც დაესწრო საკანონმდებლო კრების ბევრი წარმომადგენლები, თვითმართველობის თავის თავმჯდომარეობით მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომელშიაც გამოთქმულია უკმაყოფილება რუსეთისადმი ურიების დარბევის გამო.

სიმბირსკი. მედროგეების მოთხოვნები გადაზიდ-გადმოზიდვაზე ფასის მომატების შესახებ დააკმაყოფილეს ვაჭრებმა.

ვარშავა. შეიარაღებული ბრბო შეუცვინდა სახლში უბნის ზედამხედველს შილინგოვს და პანოვის ქუჩაზე და მოკლეს. ნოვოლიპკში ვიღაც უცნობებს მოუკლავთ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი დავით კურეკინი.

ბორისოვი. სპიჩკის ქარხნების პატრონებმა, მოსალოდნელ გაფიცვის გამო, გადასწყვიტეს არაფერი არ დაუთმონ მუშებს.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბირო, კრება გაიხსნა დილის 11 საათსა და 45 წუთზე მუროშცევის თავმჯდომარეობით. წაიკითხეს საფრანგეთის პარლამენტის საერთაშორისო სამედიატორო სამართლის ჯგუფის დეპეშა რუსეთის ჯგუფის შედგენის გამო. ინგლისის ჯგუფმა რუსეთის ჯგუფს გამოუგზავნა ბიულეტენი ფაქტიური ცნობებით. შემდეგ წაიკითხეს სენატის დადგენილების პირი ნაკაზის პირველი თავის შესახებ და 19-თა კომისიას გადაეცა. ფინანსთა მინისტრმა შეიტანა კანონ პროექტი ქალაქებში და სოფლებში უძრავ ქონებაზე, გადასახლების განხილვის შესახებ და თამაქოს ბაჟის აწევის შესახებ. ორივე კანონ-პროექტი საფინანსო კომისიას გადაეცა. კამათი გამოიწვია იმან, რომ 50 მილიონ მანათის გადადების საკითხი გადაეცეს ადგილობრივ დამშეულ გუბერნიებს განსახილველათ. ილაპარაკეს ნაბოკოვმა, იაკუშკინმა, ანიკინმა, ვასილიევმა და თავ. ვოლკონსკიმ. თავმჯდომარემ განაცხადა კენჭი უყარონ ამ საკითხს, და შემდეგ გადაეცეს პირველათ სურსათის კომისიას და შემდეგ საბიუჯეტოს, რომლებიც ბოლოს ერთათ საბოლოოთ განიხილავენ ამ საკითხს, შემდეგ კამათი დაიწყეს ისევ კრების თავისუფლების კანონ პროექტის შესახებ. კალეცკიმ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა კანონპროექტი და განაცხადა, რომ ის მუშებს ხელ-ფეხს უბორკავსო. შემდეგ ორატორმა გამოსთქვა რამდენიმე საზოგადო მოსაზრება. ხალხის თავისუფლების პარტიას არ უნდა ანგარიში გაუწიოს ხალხის მოძრაობას და რევოლიუციაზე ლაპარაკის გაგონებაც კი არ სურს. პროფ. კოვალევსკიმ განმარტა კონტინენტალური და ინგლის-ამერიკის კანონები კრების შესახებ, მოიყვანა ინგლისელ მეცნიერის დაისის შეხედულება და განაცხადა, რომ ისეთ ქვეყანაში, სადაც უკვდო კონსტიტუცია, სრულიად საჭირო არ არის კრების თავისუფლება. არის თავისუფლება სიტყვის, თავისუფლება გადასვლა-გადმოსვლის და ეს ორი თავისუფლება ერთათ კრების თავისუფლებასაც გვაძლევსო. ამგვარ შეხედულებით ორატორი სრულიად ეთანხმება რუსეთის ახალგაზდა სოციალდემოკრატიის იდეალს და კრების თავისუფლების შესახებ კანონ-პროექტი მოხერხებულათ არ მიაჩნია. ორატორი ხმას აძლევს კანონ-პროექტი კომისიას გადაეცეს (მემარცხენეები გაცხარებით ტაშს უკრავენ). მემარცხენეებსა, მემარჯვენეებსა და ცენტრს შუა პოლემიკა გრძელდება. ლაპარაკობენ ჯაფარიძე და ბრამსონი. სოციალიზმის ანბანი იმას კი არ ამბობს, რომ პროლეტარიატს დაემორჩილოს სხვა დანარჩენი კლასები, არამედ სხვა კლასებიც განთავისუფლდეს. არავინ იმას არ ამბობს, რომ სოციალიზმი ეხლავე განხორციელებულ იქნეს, არამედ კანონ-პროექტის მუხლები ირჩევა. სიტყვა მიეცა სამხედრო სასამართლოს მთავარ პროკურორს გენ.-ლეიტენანტ პავლოვს. ის იყო პროკურორი გამოჩნდა ტრიბუნაზე, რომ დარბაზში საშინელი ყვირილი ასტყდა: „შორს ჩვენსგან ჯალათი!! შორს ჩვენგან მკვლელი!!" თავმჯდომარე ზარს აწკარუნებს და აცხადებს, იძულებული ვიქნები კრება დავხურო. პროკურორი ტრიბუნაზე დგას. ხმაურობა და მღელვარება მატულობს: „უმჯობესია კრება შევწყვიტოთ, ძირს ჯალათები!! არ გვინდა მკვლელს მოვუსმინოთ! ძირს შმიდტის ჯალათები. გასწი! გასწი!!" თავმჯდომარე აცხადებს კრების შეწყვეტას და პროკურორთან ერთათ ჩამოდის ტრიბუნიდან. დეპუტატები ფეხზე დგებიან. ხმაურობა და ყვირილი თანდათან მატულობს, როგორც კი პროკურორი ისევ გამოჩნდება. ბოლოს, პროკურორი საშინელ „გასწი! გაეთრიე!"-ს ყვირილში გადის დარბაზიდან. კრების განახლების შემდეგ კუზმინ-კარავაევმა, როგორც სიკვდილით დასჯის გაუქმების კომისიის მომხსენებელმა, ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და დაამტკიცა, რომ როგორც იურიდიული, ისე პოლიტიკური მოსაზრებით სიკვდილით დასჯა უნდა მოისპოს. ორატორმა სავსებით დაარღვია სიკვდილით დასჯის მომხრეთა საბუთები და განაცხადა, რომ ის მომხრეა სიკვდილით დასჯა ჯარშიაც მოისპოს ომის დროს. მაგალითათ მოიყვანა საფრანგეთის რევოლიუცია, როცა გამოცხადებული იყო: დღეიდან სიკვდილით დასჯა უბრალო მკვლელობათ ჩაითვლებაო. მაშინ ბევრნი იყვენ წინააღმდეგნი და ასე ეგონათ სიკვდილით დასჯის გაუქმება ანარქიამდე მიგვიყვანსო. ეს შიში უსაფუძვლო გამოდგა. დეე რუსეთის პირველმა სათათბირომ გადასწყვიტოს სიკვდილით დასჯის გაუქმება, რომ დღეიდან კანონის ძალით მკვლელობას ბოლო მოეღოს. (ოვაცია). იუსტიციის მინისტრმა კუზმინ-კარავაევის მოსაზრების წინააღმდეგ ილაპარაკა. მან სთქვა, რომ დღეს რევოლიუციონერების და ანარქისტების წინააღმდეგ სახელმწიფო მუდამ უნდა იბრძოდეს და სიკვდილით დასჯის გაუქმება ნიშნავს უარის თქმას სახელმწიფოსაგან დაიცვას თავისი ერთგული შვილები, რომლებიც ბოროტ კაცების ხელით სიცოცხლეს ესალმებიან. (ხმები: „კმარა, კმარა"). თავმჯდომარემ მიმართა მემარცხენეებს და გაუცხადა, რომ კამათის ამ გვარათ შეწყვეტის შესახებ სათათბიროს ნაკაზში არაფერიაო. (მემარცხენეები წუწუნებენ, ცენტრი და მემარჯვენენი ტაშს უკრავენ) მინისტრმა გულდამშვიდებით დაათავა სიტყვა და ბოლოს სთქვა, რომ ის მომხრეა სიკვდილით დასჯა მხოლოთ ზოგიერთ დანაშაულობის შესახებ იქნეს გაუქმებული და არა საზოგადოთ. მინისტრის შემდეგ ილაპარაკა საზღვაო სამხედრო პროკურორმა—საზღვაო მინისტრი წინააღმდეგია სათათბიროს იმ გვარ ახსნა-განმარტების, რომელსაც ის აძლევს, სათათბიროს დებულების 55 მუხლს. (სიცილი და ხმები: „უთხარი ბირილევს, რომ სამსახურიდან გადადგეს") შემდეგ მოხდა ინციდენტი პავლოვთან. ანიკინმა და კუზმინ-კარავაევმა წინადადება შეიტანეს არ შესწყვიტონ კრება, სანამ სიკვდილით დასჯის გაუქმების კანონ-პროექტი არ იქნება მიღებული სათათბიროს მიერ. დეპუტატმა ალადინმა მშრომელთა ჯგუფის სახელით განაცხადა, რომ ის სინააღმდეგია მოუსმინოს პროკურორ პავლოვს, რომელმაც „ჯალათის სახელი დაიმსახურაო. (ტაშის ცემა). ბეიდენი და ვოლკონსკი წინააღმდეგი არიან ალადინის. ვოლკონსკიმ განაცხადა, რომ სათათბირო სისხლის ღვრის წინააღმდეგია და ამ გვარ მოქმედებით თუ თვით ის გამოიწვევს საშინელ სისხლის ღვრასო. (პროტესტები მარცხნით) რამიშვილი მხარს უჭერს ალადინის და ანიკინს, ხოლო პავლოვს და მის თანამოაზრეებს კაცის მკვლელებს უწოდებს. სათათბირომ, როგორც გამონაკლისი, დაადგინა არ შესწყვიტონ კრება, სანამ სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ კანონპროექტი მიღებულ არ იქნება. დაიწყეს კამათი კანონპროექტის საზოგადო შინაარსის შესახებ. ნაბოკოვი მადლობას უცხადებს მინისტრს სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე დათანხმებისათვის, მაგრამ მას სწყინს დარჩა რომ მინისტრი წავიდა და ველარ შეეკითხა რამდენი კაცი დასაჯეს სიკვდილით 5—10 წლის განმავლობაში. ორატორი ეკითხება მინისტრს ამხანაგს, მაგრამ ის სდუმს. (ტაშის ცემა და სიცილი). რუსელმა, ორატორის აზრით, პრინციპიალურათ უნდა გაუქმდეს სიკვდილით დასჯა. დღეს მინისტრებმა აშკარათ დაამტკიცეს თავიანთი მოუმზადებლობა სახელმწიფო საქმეებში, როცა „მოსკოვის ვედომოსტების" რედაქტორის გრინგმუტის აზრს დაეყრდნენო (ტაშის ცემა). ლედნიცკი აღშფოთებას აცხადებს იმის გამო, რომ იდეას სჯიან, ხვრეტენ, შტიკებით ჩხვლეტენ. ანარქისტები კლავენ, არღვევენ სახელმწიფოს საფუძველს, ამისთვის მათ სჯის მთავრობა, მაგრამ მთავრობის ანარქისტებს კი არავინ არა სჯის. ორატორი შეეხო რა სიკვდილით დასჯის კანონს, მოიგონა ის ხალხი, რომელიც დაიხოცა იდეალის გულისთვის; დაათავა სიტყვა მით, რომ ყველაზე მეტი მსხვერპლი თავისუფლებას შესწირეს პოლონელებმაო. (ტაშის ცემა). მღვდელი ოგნევი ამბობს, რომ ის როგორც ნამდვილი ქრისტიანი, წინააღმდეგია სიკვდილის დასჯის, მეტადრე პოლიტიკურების, რადგან ესენი ზნეობრივათ ყველაზე მაღლა დგანანო. ქრისტეს ტანჯვა, ეს მუდმივი ცოდვაა ყველა მთავრობის, არც ერთ მთავრობას არ აქვს უფლება გამოასალმოს კაცი წუთისოფელს. (ოვაციები). დუმამ ერთხმათ მიიღო საფუძვლიანი წინადადება სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და გადასცა კომისიას. კომისია მოლაპარაკების შემდეგ იძლევა წინადადებას—მიიღონ კანონ-პროექტი. სათათბირო კანონ-პროექტს ერთხმათ ღებულობს.

ტომსკი. ვიღაც უცნობმა, ინტენდანტის ფორმაში ყალბი ტელეგრამით ნოვონიკოლაევის ხაზინიდან 19,700 მანეთი მიიღეს. დამნაშავე არ აღმოუჩენიათ.

ვასილკოვი. კამენკაში გაიგზავნა ერთი ესკადრონი დრაგუნთა პოლკისა ტერეშჩენკოს მამულში აგრარულ არეულობის ჩასაქრობათ.

გომელი. გუბერნატორი აცხადებს საჯაროთ, რომ ყოველივე ცდა ურიების დარბევისა ჩაქრობილ იქნება ძალით.

კრემენჩუგი. გუბერნატორმა სტრაჟნიკ გავრილოვის მოკვლის განმზრახველს (?) სიკვდილით დასჯა შეუცვალა 6 წლის კატორღით.

ვარშავა. შუადღეზე ქალაქის სხვადასხვა კუთხეებში ერთდაიმავე დროს მოხდარა ხუთი თავდასხმა პოლიციელებზე. მოკლულია ერთი ზედამხედველი და გოროდოვოი, დაჭრილია ზედამხედველი, გოროდოვოი და საერობო დარაჯი. მკვლელები მიიმალენ. რადგან ძალიან ხშირდა პოლიციელებზე თავდასხმა, ამიტომ ქალაქში მოხსნეს პოლიციური პოსტები.

პეტერბურგი. შრომის ჯგუფმა დაადგინა: არამც და არამც გენერალ პავლოვს ლაპარაკი არ დაანებონ. ცნუფი ჩქარა ახსნის, რატომ არ სურს ალაპარაკოს პავლოვი, როდესაც ის ნებას აძლევს ლაპარაკისას სამხედრო სამინისტროს სხვა წარმომადგენელს.

ხარკოვი. გაძარცვეს არტელშჩიკი კუდრიავცევი და წაართვეს 22,000 მან. ის უკან დაედევნა მძარცველებს, მაგრამ შემდეგ მკვდარი ნახეს რკინის გზის ლიანდაგზე.

„ლამპარი„-ს ფოსტა.

ჯუმათი. იონა უშვერიძეს. გაზეთის გამოწერა თვის პირველი რიცხვიდან შეიძლება. პირველ ივლისიდან გაზეთს გამოგიგზავნით.

რედაქტორ-გამომცემელი კ. თავართქილაძე.

განცხადება

ამა ივნისის 22-დან თფილისში გამოვა

ყოველ კვირეული სახალხო გაზეთი

გლეხი

გაზეთი ემსახურება მიწის მუშა გლეხობის ინტერესებს: მიწა და თავისუფლება, მიწა მიწის მუშებს! გაზეთი ხელს შეუწყობს მშრომელ გლეხების განვითარებას, გამოარკვევს ადგილობრივ საჭიროებას და გააცნობს ჩვენს გლეხებს რუსეთის და ევროპის გლეხობის მოძრაობას. პროლეტარიატი და გლეხობა ის მოწინავე რაზმია, ის მშრომელი კლასი, რომელიც თავის ოფლით ასაზრდოებს მთელს ქვეყანას და რომელიც უმზადებს კაცობრიობას განახლებას და ახალს, სამართლიანობასა, თანასწორობასა და თავისუფლებაზე დამყარებულ ცხოვრებას.

ფასი გაზეთისა: წლის დამლევამდე 1 მან. და 60 კაპ., სამი თვით—80 კაპ., ცალკე №—6 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში (სამიროს ქუჩა, № 43) და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

რედაქტორ-გამომცემელი დ. ნახუცრიშვილი.

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა". ტფილისი, მიხეილის ქუჩ, 65.